ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№6 (1516) 23–27 იანვარი, 1997 წელი

აქა ნამდვილი ამბავი იმისა, თუ როგორ სვამდნენ ვახტანგ გოგუაძე, ვალერი კვარაცხელია და დილარ ხაბულიანი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელოს...

მეექვსე გვერდი

მათ სახელმწიფო მეწველი ძროხა ეგონათ

მესამე გვერდი

ინფორმაცია
კროსვორდი
კაიფვორდი



ნუგზარ ფოფხაძე:

აი, სკანდალი მაშინ გენახათ, თუ ცეკას მდივანს დუბინკებით გაუმასპინძლდებოდა „მშობლიური“ მილიცია

მე–2,4,8 გვერდი

ავტონომია ნონსენსია

მეშვიდე გვერდი

არქიმანდრიტი რაფაელი

„იელოვას მოწმეების“ სექტის შესახებ

მეთერთმეტე გვერდი

შემცირება ტერიტორიის „გაჩუქებით“ დაიწყო

მეათე გვერდი

მომდევნო ნომერში

ნოდარ წულეისკირის გახმაურებული სიტყვის სტენოგრამა

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მეამფიანისათვის

ნუგზარ ფოფხაძე:

აი, სკანდალი მაშინ გვენახათ, თუ ცეკას მდივანს დუბინკებით გაუმასპინძლდებოდა „მშობლიური“ მილიცია

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №70,71,72, 1996 წ. №1,2,3,4,5 1997 წ.

–პრაქტიკულად, ეს „პერესტროიკის“ პირველი ეტაპია, არა?!

–დიახ, 1986-1987 წლები – ეს ის დროა, როცა „პერესტროიკა“ უკვე დაწყებულია, საზოგადოება ელის კარდინალურ ცვლილებებს, საზოგადოება დაპირისპირდა გარდაქმნის მომხრე-მოწინააღმდეგეებად-წყდება საკითხი: საერთოდ გვჭირდება თუ არა „პერესტროიკა“. და თუ გვჭირდება, როგორი?..

„პერესტროიკა“ შანსს იძლეოდა. ახლაც, 11 წლის გასვლის შემდეგ, სინანულით ვფიქრობ, თუ როგორ „მოვახერხეთ“ ამ შანსის ხელიდან გაშვება?! მაშინ რომ სიბრძნე გამოგვეჩინა, საქართველოში ბევრი რამ სხვანაირად წავიდოდა. მიზანსაც მივაღწევდით, თანაც, დარწმუნებული ვარ, უსისხლოდ...

... ერთი სიტყვით, თანდათანობით საზოგადოებას პოზიტიური ცვლილებების იმედი უჩნდება, მაგრამ ჩვენში არამცთუ სერიოზული ძვრები არ ხდება, არამედ, ნებსით თუ უნებლიეთ, პრაქტიკულად ყველაფერი კეთდება ამ იმედების დასასამარებლად. უფრო მეტიც. იმის ნაცვლად. რომ აქტიურად მიდიოდეს „დამყაყებულის“ რევიზია. და ამას ყველა – დიდი თუ პატარა, მიესალმებოდა, ძალისხმევა იხარჯება ვითომდა „ძველის“. სინამდვილეში, იმ დროისათვისაც კი. პროგრესულის გასაბიბრუებლად (თუნდაც, ფოთის ექსპერიმენტი, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოყენების პრაქტიკა, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კრიტიკული პათოსის უკვე მიღწეული დონე და სხვა). უფრო მეტიც. ხმალ შემართულნი ხვდებიან „ახალი რეფორმატორობის“ ყოველგვარ გამოვლინებას.

ცენტრალური პრესისა და რადიო-ტელევიზიის პუბლიკაციები იმაზე მეტყველებს. რომ „საჯაროობა“ ხუმრობა საქმე არ არის. ჩვენში კი ცკ-ს პროპაგანდის განყოფილებას და გაზეთების რედაქტორებს „ტყავს აძრობენ“ ნებისმიერი არასტანდარტული პუბლიკაციისთვის (კომკავშირის ცკ-ს მზარდმა კარიერისტებმა. „ფილაცის“ კარნახით. სამსახურიდანაც კი გააგდეს „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი. პოპულარული და მოაზროვნე ახალგაზრდა კაცი. თანაც შეთითხნილი არგუმენტებით. მაშინდელი დროისთვისაც კი ეს „სპექტაკლი“ ისე თავხედურად დაიდგა. რომ ცკ-ს მდივანს ენუქიძესაც კი არ შეუთანხმეს. ასეთი „გაბედულება“ არ შეიძლებოდა ახსნილიყო მარტოოდენ ახალი ქართველი ხუნვიბინების გამოჩენით. ჩანდა „რეჟისორის“ ხელიც. ენუქიძემ აღარ მოინდომა ასეთი „ალიყურის“ გადაყლაპვა. მტკიცედ დაიჭირა პროპაგანდის განყოფილების მხარე და პატიაშვილს მოსთხოვა ამ გადწყვეტილების გაუქმება. პატიაშვილმა ეს გადაწყვეტილება შეცვალა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნაცვლიშვილმა „გაბედა“ უშუალოდ მასთან დარეკვა, მოითხოვა შეხვედრა და მასთან პირისპირი საუბარი...).

მთელ სსრკ-ში „დემოკრატიზაციის პროცესი“ რეალურად დაიძრა, ჩვენთან კი...

ერთი სიტყვით, „პერესტროიკის“ სულისკვეთებაში ღრმად წვდომის ნაცვლად, მივიღეთ ჯერ მისი სრული გაუგებრობა, შემდეგ კი, შესაძლოა, მისი სრული პროფანაციაც.

ვისაც მაშინ ოდნავ მაინც რამე გაეგებოდა, აშკარა იყო, რომ ცკ-ს ხელმძღვანელობა სოციალურ-პოლიტიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებათა უგულებელყოფის, შიშველი ტექნოკრატიზმის, ეკონომიკის ძირეული საკითხებისადმი ზერელე მიდგომის გზას დაადგა. იმის არცოდნა, თუ ამას შედეგად რა უნდა მოჰყოლოდა, იგივეა, რომ საშუალო სკოლადამთავრებულმა არ იცოდეს, ორჯერ ორი რომ ოთხია. საერთოდ, არა მარტო პოლიტოლოგიის ანბანის, არამედ მართვის სფეროში ელემენტარული საკითხების უცოდინრობამ ჩვენ ბევრ უბედურებას გადაგვიდა (წინ გავუსწრებ მოვლენებს, მსჯელობას, და საილუსტრაციოდ ერთ არგუმენტსაც მოვიტან. მხოლოდ პროფესიონალიზმის პრიმიტიულ დონეს (და არა მარტო ცკ-ს „მამების“. არამედ ძალოვან სტრუქტურათა თავკაცების) უნდა მიეწეროს ის, რაც საზღვარგარეთ იცის დამწყებმა თუ არა, პოლიციის გამოცდილმა სერჟანტმა მაინც: ათიათასიანი მიტინგის გარეკვას „იმ“ მეთოდებით და დამსჯელთა „იმ“ რაოდენობით. ყოველთვის მოჰყვება მსხვერპლი! თანაც, ცნობილია, ყოველ ათას კაცზე-რამდენი!..).

ასეთ დროს იტოვებენ ერთ გზას. ყველაზე იოლს. რომელსაც მაინცდამაინც არ სჭირდება დიდი „ტვინის ჭყლეტა“-ეს არის ადმინისტრირება.

სწორედ ამ დროს. „პერესტროიკის“ საწყის ეტაპზე. საქართველოში აღზევდა „ბრძანებლურ-ადმინისტრაციული“ სტილი. თავისი ყველაზე „მახინჯი“ გამოვლინებით. რის შედეგადაც, ნებსით თუ უნებლიეთ, დასაბამი მიეცა უაღრესად სახიფათო ტენდენციას-პოლიტიკურ ექსტრემიზმს. მისი პირველი ნიშნები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრაქტიკაში უკვე გამოჩნდება პატიაშვილის პირველ მდივნად დანიშვნისთანავე, როცა რესპუბლიკას გადაუვლის პარტიული რეპრესიების ტალღა. რომელიც დაუფარავად გადაიზრდება „განტევების ვაცის“ ძებნის კამპანიად. პარტიულ და სახელმწიფო აქტივში გარკვეულწილად დაისადგურებს შიშის სინდრომი.

ყოველივე ეს დაძაბავს საერთოსაზოგადოებრივ განწყობილებას. ზოგი აპათიაშიც ჩავარდება და ამ პროცესს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს პოლიტიკური ცხოვრების „უძრაობა“. რომელიც არამცთუ არ განთავისუფლდება დახასიათებული ორთოდოქსული ფორმებისგან. არამედ გამდიდრდება კიდევ „ტაშის გრიალისა“ და „ერთსულოვნების“ გამოხატვის ახალი ფორმებით.

ტრადიციულად ლოიალური ოპოზიცია (შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენცია) დადგება დილემის წინაშე: დარჩეს ორთოდოქსებთან. ან შეუერთდეს უკიდურეს ოპოზიციურ ფრთას. ჩვენი უნიათობით, ორპოფობით, მოჩვენებითი პატრიოტიზმით ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის. რომ განგვდგომოდნენ ფრიად ზნეობრივი, ღვთით ბოძებული ტალანტის მქონე, ახალგაზრდობაში ყველაზე პოპულარული ადამიანები. მათ თანამდებობები არ აინტერესებდათ, არც ჩინ-მედლები, არც პოლიტიკა. მათი ყველაზე დიდი და მთავარი პოლიტიკა იყო, არის და ყოველთვის იქნება სამშობლო.

...რას უნდა შერებოდეს ამ პრინციპულ ეტაპზე ცკ-ს პროპაგანდის განყოფილება, მისი ხელმძღვანელობა? იგი მოწოდებულია ცკ-ს ბიუროსა და სამდივნოსათვის მომზადოს ისეთი რეკომენდაციები, რომელთა განხილვისა და მოწონების შედეგად მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები გაალრმავებენ „პერესტროიკის“ პოზიტიური ცვლილებების პროცესს. იდეოლოგიური სამსახური ცდილობს აკეთოს თავისი საქმე ისე. როგორც ესმის და როგორც სჯერა, მაგრამ...

ცკ-ს ხელმძღვანელობა ფიქრობს ერთს. საჯაროდ და პარტიულ-სადირექტივო დოკუმენტებში აფიქსირებს მეორეს. საქმით კი კეთდება მესამე. თანაც. იქმნება იმის ილუზია (და მის გავრცელებას ხელს უწყობენ „უმაღლეს დონეზე“). თითქოს პირველი მდივნის „პროგრესულ“ და „განწმენდის“ კურსს ცკ-ს და მთავრობის აპარატში. ეწინააღმდეგებიან „კონსერვატორები“ და „კარიერისტები“... ამ ილუზიის განმტკიცებას ეწირება მთავრობის თავმჯდომარე, ცკ-ს მდივანი, ესა თუ ის მინისტრი, ადგილობრივი ხელმძღვანელი და ა.შ.

შედეგი ცნობილია!

აი. ამ მდგომარეობასთან შეგუება ბევრისთვის, მათ შორის ჩემთვისაც, ძნელი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა. რომ აპარატული მუშაობის გამოცდილების სესხება არ მჭირდება, არც მისი დაწერილი თუ დაუწერელი კანონებია ჩემთვის უცხო ხილი. ახალი პირველი მდივნის მცდელობასაც –განიმტკიცოს საკუთარი ძალაუფლება-მეტ-ნაკლებ გაგებით ვეკიდები. მაინც მივდივარ იმ დასკვნამდე. რომ ჩემი ადგილი ამ „გუნდში“ არ არის. მე კიდევ მჯერა „პერესტროიკის“. ვიცი. რომ „ასე ცხოვრება“ აღარ შეიძლება. მაგრამ ისიც კარგად მესმის. რომ არც ასეთი „მუშაობაა“ წინსვლის გარანტია.



თანაც. არამცთუ გენნება ფუჭად დახარჯული დრო და ენერგია. არამედ კარგავ იმასაც. რაც დაგიგროვებია შრომით და მონდომებით და ახლა თვითონ გამოდიხარ „მუხრუჭიც“ და „ორთოდოქსიც“...

...ვიდრე ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელი ვიყავი, მქონდა დამოუკიდებელი საქმიანობის საშუალება – ჩემი რწმენის, შეხედულებების, პროფესიონალიზმის და გამოცდილების საფუძველზე მეკეთებინა საქმე. რომლის მიზანიც, გადაწყვეტის გზებიც, სავარაუდო ეფექტიც. საბოლოო ანგარიშში, ჩემი გასათვალი გახლდათ და შედეგებისთვისაც უშუალოდ ვიყავი პასუხისმგებელი.

საზოგადოებამ ცალსახად იცოდა. რომ „კარგიც“ და „ცუდიც“ ჩემი სახეა. ამასთან, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის უწევდა შელავათს პარტიული დირექტივებისა და „ხაზის“ გატარების გარდუვალობას. ცენზურის პირობებში არსებულ საზღვრებს, და როცა ხედავდა ჩვენი მხრიდან მათი გადალახვის ცდებს, არა მარტო უხაროდა, მხარსაც უჭერდა ამ გაბედულებას.

ცკ-ს აპარატში კი პირიქით ხდება. ახლა შენ თვითონ ხარ „ცენზურაც“. „დირექტივაც“. „პარტიული ხაზიც და კურსიც“.

რისთვისაც ადრე ცკ-ს პროტესტს შენ უცხადებდი. იძულებულს გხდიან. ის თვითონ გააკეთო. ამის გამო ახლა შენვე გიცხადებენ პროტესტს. ნებსით თუ უნებლიეთ შენი სახელი უკავშირდება ყოველივე იმას, რაც შემდგომ სამარცხვინო ლაქად დაგაჩნდება

გაგრძელება მე-4 გვ.

სამინისტრომ აღძრა სარჩელი

ქონების მართვის სამინისტრომ ვაკის რაიონის სასამართლოში აღძრა სარჩელი ხაშურის სასტუმრო „ივერიას“-ს პრივატიზების კანონიერებასთან დაკავშირებით. (სამინისტრო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოში მოპასუხედ გამოდიოდა). საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა სამინისტროს ბრძანების პუნქტი, რომელიც სასტუმრო „ივერიის“ პრივატიზებისას საპრივატიზაციო ბარათების ნომინალური ღირებულებით ჩათვლას ეხებოდა. საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვა მოხდა კონკრეტული სარჩელით, კერძოდ, სამინისტროს ბრძანების შესაბამისი პუნქტის არაკონსტიუციურად ცნობის თაობაზე. ამდენად, საქმის განხილვა არსებითად არ მომხდარა. ამჯერად სამინისტრომ აღძრა სარჩელი მთლიანად ობიექტის პრივატიზების გაუქმების თაობაზე. სამინისტროს მიაჩნია, რომ ობიექტის პრივატიზება სერიოზული დარღვევებით მოხდა.

ოთხმხრივი მოლაპარაკება სოფ.ჭუბურხინჯში

გუშინ გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში შედგა ოთხმხრივი სამუშაო შეხვედრა, რომელსაც რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი კონფლიქტის ზონაში პოლკოვნიკი თ.ოშხერელი, ზუგდიდის გამგებლის მოადგილეები ე.შონია და თ.შანავა, ასევე დევნილი ადმინისტრაციის სხვა წევრები. აფხაზური მხრიდან – გალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ე.ლომია, გალის უშიშროების სამსახურის უფროსი ა.არშბა და აფხაზეთის სასაზღვრო ჯარების უფროსი შაიბა, გაეროს სამხედრო დამკვირვებლები, რომელთაც გენერალი კარსტენი ხელმძღვანელობდა. შეხვედრაზე მოისმინეს რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხრეთ და ჩრდილოეთ ზონის ხელმძღვანელთა ინფორმაცია 12 კმ-იანი უსაფრთხოების ზონაში, განელილი კვირის მანძილზე შექმნილი სიტუაციის შესახებ. თუმცა, აფხაზური მხრიდან იყო განცხადება, რომ გალის ადმინისტრაცია მოვალე არ არის ქართულ მხარესთან განიხილოს აფხაზეთის ტერიტორიაზე მომხდარი ინციდენტები. (იფრინდა)

ოფიციალური ქრონიკა

საქართველოში ვიზიტად მყოფი კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მაიკლ მეისი გუშინ და დღეს შეხვდა თბილისში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების საელჩოების წარმომადგენლებს. (იფრინდა)

უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურის განცხადება

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრეს-სამსახურმა გაავრცელა განცხადება – ა.წ. 20 იანვარს, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის კოზგანის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, კოზგანმა ბრალი დასდო საქართველოს უშიშროების სამინისტროს, აფხაზეთის ა/რ გალის, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში ფართომასშტაბიანი დივერსიული აქტების დაგეგმვაში. ოზგანის თქმით, აღნიშნული დივერსიული აქტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზანი სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების შეწყვეტაა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს უშიშროების სამინისტრო აცხადებს, რომ კ.ოზგანის მიერ მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება. „საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა და საქმითაც დაადასტურა თავისი მისწრაფება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის. ცნობილია, რომ პასუხისმგებლობა მოლაპარაკების პროცესის ჩიხში მომწყვდევის თაობაზე, მხოლოდ და მხოლოდ აფხაზურმა მხარემ უნდა იტვირთოს. გარდა ამისა, ცალსახად უნდა განვაცხადოთ, რომ სამინისტროს არა აქვს არავითარი კავშირი ორგანიზაცია „თეთრი ლეგიონი"-ს საქმიანობასთან" – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ავტორთა აზრით, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ვერ აკონტროლებს რეგიონში შექმნილ ვითარებას, რის გამოც ფართო მასშტაბები მიიღო კრიმინალური ელემენტებისა და მაფიოზური დაჯგუფებების ურთიერთდაპირისპირებამ. (იფრინდა)

მკვლელობა გალის რაიონში

საგანგებოს კორესპონდენტისათვის კარგად ინფორმირებული წყაროდან ცნობილი გახდა, რომ 21 იანვარს გალის რაიონის სოფ.გაგიდაში (უსაფრთხოების 12 კმ-იანი ზონა) ადგილობრივი ოჯახების გაჩხრეკისა და იარაღის ამოღების მიზნით, შეეიდა რუსეთის სამშვიდობო ძალების 3 ჯავშანტრანსპორტიორი აფხაზური მილიციის წარმომადგენლებთან ერთად (დაახლოებით 40 კაცი). ოპერაციას ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ე.წ. შსს-ს ერთერთი განყოფილების უფროსი ჯონუა. რამოდენიმე ოჯახის გაჩხრეკის შემდეგ, მათ შელაპარაკება მოუხდათ გერგედავების ოჯახში, რის შემდეგაც აფხაზებმა დაცხრილეს ოჯახის უფროსი, სცემეს 75 წლის მოხუცი და ტყვედ აიყვანეს ამავე ოჯახის ერთი წევრი, მათთან სტუმრად მყოფ მეზობელ ხასიათსთან ერთად. აღნიშნული ოპერაციის შედეგად სოფელში გაიძარცვა რამოდენიმე ოჯახი. (იფრინდა)

მათ სახელმწიფო მეწველი ძროხა ეგონათ

პარლამენტის დროებითმა საგამომძიებლო კომისიამ უკვე დაამთავრა და პროკურატურას გადასცა დასკვნა მეტროს ყალბი ჟეტონების გახმაურებული საქმის შესახებ. დასკვნიდან ირკვევა, რომ დანაშაულის კვალი მაღლა მიიწევს...

დიახ, მეგობრებო, ნამდვილად შეუცნობელ არს გზანი ღმერთისანი. ან კი აბა სხვა რა სასწაულს შეიძლება დავაბრალოთ, რომ ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი თვეში 10-15 პურის შესაძენად საკმარის თანხას არ აღემატებოდა ბოლო 4-5 წლის მანძილზე, არც დოლ-გარმონის თანხლებით რესტორნებში „გრიალი" მოშლილა და არც მეფური სასახლეების მშენებლობა. პრესტიჟული მანქანების მომრავლებას ხომ ნულარც იკითხავთ. თავისუფალმა საბაზრო ეკონომიკამ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა – ქვეყანა ღარიბებად და მდიდრებად დაყო, მაგრამ არც საკვირველ და არც საოცარ ფაქტს დღეს ეს არ წარმოადგენს, რომ მდიდართა კოჰორტას მხოლოდ კომერციული სფეროს წარმომადგენლები არ ავსებენ, ამ რიგებში მყარად მოიკიდეს ფეხი და დაიჯავშნეს ადგილები სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელ-პასუხისმგებელმა მუშაკებმა. საგანთა ასეთი მდგომარეობა თუ ასატანი იყო კომუნისტური იმპერიის არსებობის პირობებში, სადაც ნომენკლატურული სამუშაო მაღალ ხელფასთან და მთელ რიგ ლგოტებთან ერთად ასევე მსხვილ „ლევ" შემოსავალთან ასოცირდებოდა (გავიხსენოთ იმ ხანად გავრცელებული პერიფრაზი აფორიზმისა „რასაცა შესჭამ შენია, რაც არა, დაკარგულია", იმ პერიოდში საამაყოდაც კი იქცა ქმედების ასეთი კვალიფიკაცია – სახელმწიფოს პარავს, ხალხს ხომ არა) დღეს, როდესაც რესპუბლიკა ევროკავშირის და მსოფლიო ბანკისგან აღებული სესხების ხარჯზე ძლივსძლივობით სუნთქავს, სახელმწიფოს სახსრების განიავება – მითვისებას ნელ-ნელა, მაგრამ უცილობლად მივყავართ უფსკრულისაკენ. კორუფციამ მყარად მოიკიდა ფეხი სახელმწიფო სტრუქტურებში (უფრო სწორედ რომ ვთქვათ, იგი მემკვიდრეობით ერგოთ ახალი დროების მშენებლებს ძველ „აპარატჩიკებისაგან"), მით უმეტეს, რომ ასეთი სახით ფულის კეთება ადამიანური ცხოვრების ერთადერთ შესაძლებლობად იქცა „მეფური" ხელფასების მქონე ხალხისათვის. პრესის ფურცლები სავსეა აღნიშნული სიტუაციის ამსახველი კურიოზული ფაქტებით, მაგრამ, მოგეხსენებათ, მართლმსაჯულების დოლაბი ნელ-ნელა ფქვავს (თუკი ფქვავს) და შესაბამის რეაგირებაზე ცდა, ალბათ, კარგა ხანი მოუხდება დაინტერესებულ მკითხველს, რომლისთვისაც ჯელაზე გამაღიზიანებელს ასეთ დროს ზუსტად ოფიციოზის უმოქმედობა წარმოადგენს. ამასობაში მოვიდა ახალი 1997 წელი, რომელიც, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტმა აღგვითქვა, კორუფციასთან ბრძოლის წელიწადი უნდა გახდეს (ბედნიერი იქნება საქართველო, თუკი იმ ცხრათავიანი დრაკონის დამარცხებას, რომლის „ავკაცობების" შესახებ ამდენი წელია გაჰკივის პრესა, ერთ წელიწადში მოახერხებს სახელმწიფო და პირველი გახმაურებული საქმე თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ყალბი ჟეტონების შესახებ საქმის შესწავლა იქნა საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ. ყველაფერი კი ასე დაიწყო: 1996 წლის 3 ივნისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ კომისიას შესასწავლად გადმოეცა ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნიკური ცენტრის „არის-ანგსტრემი"-ს დირექტორის ბ-ნ ქკახელაძის წერილი, რომელშიდაც იგი მეტროპოლიტენის დამხურდავებელ ფონდში არასტანდარტული ჟეტონების არსებობის (როგორც შემდეგ დადგინდა „ყალბი") შესახებ იუწყებოდა. მკითხველს ინფორმაციისათვის გვინდა ვაუწყოთ, რომ ეს ის „არის-ანგსტრემია", რომელსა და მეტროპოლიტენს შორის ჯერ კიდევ 1992 წლის 20 იანვარს დაიდო ხელშეკრულება მეტროპოლიტენის მგზავრობის საფასურის გადახდის საჟეტონო სისტემის შემუშავების მიზნით. ეს ხელშეკრულება პირველად იმავე წლის აპრილში დაარღვია მეტროპოლიტენმა და დაიწყო

გაგრძელება მე-7 გვ.

ეროვნული ინფორმაცია

აფხაზეთის ეროვნული საბჭოს მიერ შეიქმნა გარე ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ შეიქმნა გარე ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლორიკ მარშანია.

აღნიშნული კომისია, სამთავრობო კომისიებთან და ქალაქის მერიასთან ერთობლივი მუშაობით, შეისწავლის თბილისში სავაჭრო ადგილების მოწესრიგების საკითხებს და დევნილი მოსახლეობისათვის მათი უმტკივნეულოდ გადაწყვეტის შესაძლებლობას. (იბერია)

1 თებერვლიდან დევნილთათვის მოწმობების შეცვლა დაიწყება

1997 წლის იანვრიდან აფხაზეთიდან დევნილი უმუშევარი პენსიონერები პენსიებთან ერთად შემწეობის თანხასაც მიიღებენ. რაც შეეხება აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის მოწმობების შეცვლას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმზე გადაწყდა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურები ყოველნაირად შეუწყობენ ხელს ამ პროცესს, თუმცა, მოწმობების გაცემაში უშუალო მონაწილეობას არ მიიღებენ. დევნილთათვის მოწმობების შეცვლა 1 თებერვლიდან აქვს დაგეგმილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. (იბერია)

სხდომა ლტოლვილთა პრობლემებზე

21 იანვარს დაბა წყნეთში ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სამთავრობო კომისიის, დაბა წყნეთის სამთავრობო კომისიისა და წყნეთის გამგეობის ერთობლივი გაფართოებული სხდომა, რომელიც დაბა წყნეთის საზოგადოების წარმომადგენელთა თანდასწრებით ჩატარდა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს დაბა წყნეთის გამგებელმა გიორგი ოძელმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მერაბ დგებუაძემ, დაბა წყნეთის პოლიციის უფროსმა ზურაბ ბაქრაძემ, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილემ ზეგიურ კაციტაძემ და სხვა პასუხისმგებელმა პირებმა. სხდომაზე განიხილეს დევნილი მოსახლეობის გამოზამთრების, ნაეთით უზრუნველყოფის, შემწეობის თანხის დროულად და კანონიერად გაცემის, დევნილთა ბავშვების სწავლის პირობებისა და პურის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. სხდომაზე შემუშავებული წინადადებები განსახილველად შესაბამის ორგანოებს გადაეცემა. მსგავსი ხასიათის შეხვედრები მომავალშიც რეგულარულად ჩატარდება. (იბერია)

გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები

დამთავრდა ს/ს „ბავშვთა სამყაროს"-ს პრივატიზების კანონიერების შემოწმება. აღნიშნული საკითხის შესწავლის მიზეზი იყო აქციონერთა ჯგუფის განცხადება და თბილისის პროკურატურის წერილი. შემოწმების შედეგად, საპრივატიზებო ობიექტის საწყისი ფასის განსაზღვრისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები. კერძოდ, კომისიის აზრით, ობიექტის ღირებულებას არასწორად დააკლდა 1431210$. შემოწმების მასალები სათანადო რეაგირებისათვის თბილისის მერიას და პროკურატურას გადაეგზავნა.

პრესკონფერენცია ჟურნალისტთა სახლში

ჟურნალისტთა სახლში სრულიად საქართველოს იბერთა ღვთისმშობლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ დენიზა სუმბაძემ პრესკონფერენცია ჩაატარა. მან ისაუბრა საზოგადოების საქმიანობის შესახებ, რომლის ძირითად მიზანს სულიერი ამოცანები წარმოადგენს, აგრეთვე რელიგიური და საერო ცხოვრების კანონმდებლობის საკითხის მოგვარება.

პრესკონფერენციის მთავარ თემას წარმოადგენდა საზოგადოებისათვის გამოყოფილი შენობის პრობლემა, რომელიც მდებარეობს ერეკლეს მოედნის 10 ნომერში. 1996 წლის მაისის თვეში აღნიშნული შენობა, საქართველოს კულტურის სამინისტროს თანხმობით, დაიკავა ამიერკავკასიის ხალხურ საკრავთა მუზეუმმა. ეს მუზეუმი აქამდე განლაგებული იყო გორგასლის ქუჩაზე, სადაც აზერბაიჯანის პრეზიდენტის ალიევის ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაიხსნა მირზა ფათალ ახუნდოვის სახლ-მუზეუმი. ამიერკავკასიის ხალხურ საკრავთა მუზეუმს სხვა შენობები შესთავაზეს, მაგრამ მისი დირექტორის რევაზ კოტრიკაძის აზრით, აღნიშნული შენობები მუზეუმისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა.

პრესკონფერენციაზე გამოიკვეთა აზრი იმის შესახებ, რომ ზემოთაღნიშნული პრობლემები ორივე მხარისათვის შესაბამისად უნდა იქნას გადაჭრილი. საკითხი განსახილველად შეტანილია საქართველოს პარლამენტში. (იბერია)

„არავითარ წმენდას ადგილი არ ჰქონია"

„არავითარ წმენდას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ინციდენტს მოქალაქე გერგედავას ოჯახში, ჩხრეკისას აღმოჩენილი იქნა ავტომატის 158 ცალი ვაზნა და დაკითხვის დროს, მას გაქცევის მცდელობის გამო ესროლეს" – განაცხადა გუშინ, გალის რ-ნის სოფ. ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალმა დ. ბაბინკოვმა, სოფ.გაგიდაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეს ღონისძიება 1996 წლის 17 ოქტომბერს ხელმოწერილი ხელშეკრულების „მანდატის შესახებ" თანახმად განხორციელდა. მან აქვე დასძინა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად უნდა აღკვეთონ ბანდიტურ ფორმირებათა ქმედებები, როგორც გალის, ასევე ზუგდიდის რაიონში. (იფრინდა)

ნუგზარ ფოფხაძე:

აი, სკანდალი მაშინ გვენახათ, თუ ცეკას მდივანს დუბინკებით გაუმასპინძლდებოდა „მუოგლიური“ მილიცია

შეორე გვერდიდან

მთელი ცხოვრების მანძილზე.

...არც მაშინ და არც დღეს არავის, არც შინ და არც გარეთ – კოლეგებს სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებიდან არ სჯეროდათ, რომ შვიდი წლის მანძილზე საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს არც ერთი გადაცემა მე ცკ-ში შესათანხმებლად არ მიმიტანია. ამ პრაქტიკას ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე, პირველი წუთიდანვე „გამოვუყვანეთ წირვა“ იმით, რომ ვთხოვე ე.შევარდნაძეს – თუ ნდობა არის, მაშინ ბოლომდე-მეთქი, და მისი მითითებით დამთავრდა ეს „კომედია“. ახლა კი ჩემგან ითხოვენ მივაღწიო იმას, რომ რედაქტორებმა ყველა ნაბიჯი ცკ-ს შეუთანხმონ. საქმე იქამდე მივიდა, რომ „იდეალად“ დამისახეს იდეოლოგიის დარგში ცკ-ს ერთ-ერთი ყოფილი მდივანი, რომელსაც, თურმე, პრესის „ფლაგმანის“ რედაქტორი გაზეთის მაკეტს და მნიშვნელოვან მასალებს უთანხმებდა... სუფრაზე!

კიდევ ერთი ფაქტი.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ ორი ჟურნალისტი აქტიურობს ეროვნული მოძრაობის მხარდასაჭერად. იმდროინდელი გაგების, კომკავშირული გაზეთის თანამშრომელთათვის ეს დაუშვებელი საქციელია. სუკი ითხოვს მათ „ნეიტრალიზაციას“. პარტიის ცკ-ს იდეოლოგიურ სამსახურს (და არა კომკავშირის ცკ-ს) ხელმძღვანელობა ტეგორიულად უსვამს მათი სამსახურიდან დათხოვნის საკითხს.

გაზეთის რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი, რომელიც ტელევიზიაში მრავალი წლის მანძილზე ჩემი უახლოესი თანამშრომელი იყო, „დამსჯელი“ აქციის პრინციპული წინააღმდეგია და მაფრთხილებს, რომ, თუ ამ ჟურნალისტებს სამსახურიდან დაითხოვენ, თვითონაც მიატოვებს რედაქტორის პოსტს. ჩვენს თავგამოდებულ მტკიცებას და ვარაუდს, რომ ამის გაკეთება უარყოფით რეაქციას გამოიწვევს, სათვალავში არ იღებენ. „სისხლი გამოსაშვებია“. ამიტომ, ხელმძღვანელობის დავალებით და რედაქტორთან შეთანხმებით, ადგილზე შეკრიბეთ ახალგაზრდული გაზეთების რედაქციების თანამშრომლები. „გადავუარეთ“ არა მარტო „დამნაშავეებს“, არამედ „პროფილაქტიკისთვის“-ყველას და... ორივე ჟურნალისტი ადგილზე დარჩა.

ასეთი „ლიბერალური“ გადაწყვეტილების გამო ვინ გადამისვამდა თავზე ხელს, შემდგომაც. როცა ის ბიჭები ხელისუფლების კრიტიკით მიტინგებზე გამოვლენ, ცკ-ს ბიუროზე, სამდივნოზე, არაერთხელ გამახსენებენ მათდამი ჩემს „უპრინციპო და არაპარტიულ“ დამოკიდებულებას. ჩემი ბედის კიდევ ერთი ირონიაა ის, რომ ორივე „დაჩაგრული“ ჟურნალისტი, რომლებიც მერე რედაქტორებად „გაიზარდნენ“ (ერთმა მათგანმა, ერთობ მოხდენილი ალეგორიული „ფრაზის“ გამო, საკუთარ თავზეც იწვნია ახალი „კერპების“ რისხვა, რომელთანაც შედარებით, ჩვენი რეაქცია „იავნანად“ უნდა მოსჩვენებოდა), და რომლებსაც არ დავიწყნიათ რედაქციაში ჩემი „ვიზიტი“, იმ დღიდან დაწყებული, წლების მანძილზე, ერთობ „მწყალობენ“ თავიანთი გაზეთების პუბლიკაციებში.

...მკითხველს ვთხოვ ზემოთქმულს „თავის მართლებად“ ნუ ჩამითვლის. ეს ფაქტები მხოლოდ და მხოლოდ ვითარების ასახსნელად მოვიხმე, თორემ, რა დიდად საამაყო ის არის, რომ ასე საჯაროდ აღიარო შენი „სისუსტე“ თუ „შემრიგებლობა“–როცა პარტიული დისციპლინა, სუბორდინაცია, კოლეგიურობა თუ სხვა ადამიანური მოსაზრებანი გაიძულებს იყო მონაწილე ან მოწმე ისეთი „ტრაგიკომედიებისა“, რომლებისაც არათუ არ გჯერა, არამედ მათი ჩატარება-მოწყობის კატეგორიული წინააღმდეგიც ხარ. ნორმალური კაცისთვის დრამაა ის, რომ „შეგაწერენ“ რაღაც „აქციის“ ინიციატორობას მაშინ, როცა შენვე იყავი მისი პრინციპული წინააღმდეგი, და საზოგადოებრივ აზრს საჯჯნგნად ოსტატურად „მიუგდებენ“ სწორედ შენს თავს. და საკმარისია ამის გამო სათანადო რეაქცია გაკეთო, უფრო მეტიც, საჯაროდ კი არა, თუნდაც პირისპირ, შენს უშუალო ხელმძღვანელებთან კონფიდენციალურ საუბარში გამოთქვა ოდნავ განსხვავებული აზრი და... საჯაროდ შეურაცხმყოფელი „დაკითხვა“ და შესაბამისი „იარლიყი“ უმალვე გარანტირებული გაქვს.

ერთი სიტყვით, ძნელად ვფარავ ჩემს განწყობილებას. შეხედულებებს.

1987 წლის ივლისის მიწურულს ჟურნალ „ოგონიოკში“ გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, რომელშიც მივანიშნე, რომ სახელმწიფო აპარატში, განსაკუთრებით საბჭოებში, გარდაქმნა „ბუქსაობს“. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანე სოციოლოგიური კვლევის მონაცემები, რომლებიც საზოგადოებრიობის კრიტიკულ დამოკიდებულებას ადასტურებდა „პერესტროიკის“ არასასურველი ტემპის გამო. ინტერვიუში ისიც ითქვა, რომ რესპონდენტები დადებითად აფასებენ კინოფილმ „მონანიებას“...

„მონანიება“ პატიაშვილის სუსტი წერტილია. მისი მსოფლმხედველობა არ იზიარებს ამ ფილმის იდეას. თანაც ეს ის ფილმია, რომლითაც საერთოდ იწყება „პერესტროიკა“. ფილმი ხაჭართველოში გაკეთდა. „იმ“ დროს... როგორც ჩანს, „გადავჭარბე“!

...31 ივლისს, საღამოს ცკ-ს ხელმძღვანელობა გულთბილად დამემშვიდობა და კარგი დასვენება მისურვა მისივე ნებართვით გაფორმებულ შვებულებისას, რომელიც ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად ავიღე. მეორე დღეს, აეროპორტში წასვლამდე ორი საათით ადრე, ტელეფონის მოულოდნელი(!) ზარით ენუქიძე, პატიაშვილის სახელით, მთხოვს ცკ-ში დაუყოვნებლივ მისვლას –სტილი(!) ნაცნობია– და... ერთ საათში გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი გავხდი.

...ცკ-დან გაშვების მესამე თუ მეოთხე დღეს, ჩემ დაუსწრებლად გამართულ ცკ-ს აპარატის პარტიულ კრებაზე მომხსენებელმა და კამათში გამომსვლელმა „ამხანაგებმა“ კაკაპანაძემ, გ.ენუქიძემ და სხვებმა დაგმეს ჩემი მუშაობის სტილი. თავის საბოლოო სიტყვაში პირველ მდივანს, თურმე, ისიც კი უთქვამს, რომ ზოგიერთები(!) ვერ ამჩნევენ იმ რადიკალურ ძვრებს, რომლებიც რესპუბლიკაში მიმდინარეობს წესრიგისა და დემოკრატიის დასანერგად.

...ნეტარ არიან მორწმუნენი!

–ეს, თქვენი დაუოფის ვიხედვით – პირველი პერიოდი. მეორე?..

–მეორე პერიოდი–ცკ-ს მდივნობის ათ თვეს მოიცავს.

...ერთ-ერთ ბოლო პუბლიკაციაში ვთქვი, რომ 1989 წლის 26 მაისს საქართველოს უახლესი ისტორიის ახალი ეტაპი დაიწყო. ამ დღიდან რესპუბლიკაში დიამეტრულად შეიცვალა საზოგადოებრივ ძალთა განლაგება და პოლიტიკური ატმოსფერო.

ლოგიკური იქნებოდა, რომ ასეთივე ახალი ეტაპი დაწყებულიყო მმართველი პარტიის – საქართველოს კომპარტიისა და მისი უმაღლესი ბირთვისთვისაც. დაიწყო კიდეც, ოღონდ...

დაიწყო იმით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ითხოვეს შეხვედრა ცკ-ს პირველ მდივანთან და... მიიღეს უარი. ახალ ვითარებაში ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პროტესტის ნიშნად 16 მაისის, 15 საათიდან ისინი საშიმშილოდ დასხდნენ. ცკ „დაიბომბა“ შესატყვისი განცხადებებით: *„იმის გამო, რომ ჩვენ ჯ. ი. პატიაშვილი უარს გვეუბნება მიღებაზე, ეაცხადებთ საპროტესტო შიმშილობას ბავშვებითურთ და აქ ვისხდებით მანამ, სანამ იგი არ მიგვიღებს“.*

...„ჩვენი კოლექტიური შიმშილობა წარმოადგენს პროტესტს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რომელიც ანტიქართულია თავისი ბასიათით“.

ორივე ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ: ჭანტურია, გამსახურდია (ოჯახით), კოსტავა, სარიშვილი და სხვები. (ამ აქციებს მოჰყვა „კომუნისტის“ ის პუბლიკაცია, რომელიც ზემოთ გავიხსენე მასთან დაკავშირებული სამარცხვინო „დეტალებით“).

26 მაისთან დაკავშირებით ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ აზვირთებულ ეროვნულ მოძრაობას წინ ვერაფერი დაუდგებოდა და ის მაინც იზეიმებდა ამ დღესასწაულს ისე, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. იცოდა და... მაინც აკრძალა დემონსტრაცია. მსგავსი სიბრიყვე ძნელი წარმოსადგენია!.

აი, რას წერდნენ გ.ჭანტურია, მ.კოსტავა, ი.ფავლენიშვილი და ზ.გამსახურდია ცკ-ს პირველ მდივანს დეპეშაში, რომელიც დათარიღებულია სწორედ 25 მაისით:

„სულ ახლახანს მიღებული დრაკონული კანონის შემდგომ დემონსტრაციებისა და მიტინგების თაობაზე, ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ აღმასკომს დემონსტრაციისა და მიტინგის ჩატარების მოთხოვნით. როგორც მოსალოდნელი იყო, მივიღეთ უარი, რაც ჩვენს რესპუბლიკაში დემოკრატიის კულტურის დეფიციტი არის.

1988 წლის 26 მაისს სრულდება 70 წლისთავი ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა, ჩვენ განზრახული გვქონდა შესაბამისი ღონისძიების ჩატარება ამ მოვლენასთან დაკავშირებით. პატრიოტთა ერთმა ჯგუფმა კიდევ ერთხელ მიმართა აღმასკომს განცხადებით და კვლავ უარი მიიღო, ხოლო დღეს გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდება სტატია 26 მაისის შესახებ, სადაც ფაქტიურად აღიარებულია ამ დღის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი ერისთვის და ამ თარიღის აღნიშვნაზეც არის გაკვრით საუბარი.

„კომუნისტის“ ეს წერილი ჩვენ აღვიქვით, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გადადგმული კეთილნების ნაბიჯი, გამოწვეული პოლიტიკური აუცილებლობითა და გონიერებით, ამიტომაც მოვითხოვთ თქვენგან, ხელი არ შეუშალოთ ხვალ, 26 მაისს, დაგეგმილ მიტინგს ჩვენს დედაქალაქში.

თუ მილიციისა და უშიშროების ორგანოები არ წაელენ შეგნებულ პროვოკაციებზე, ჩვენი მხრივ ყოველგვარი ექსცესი გამორიცხული იქნება და მიტინგის შემდეგ ხალხი მშვიდობიანად დაიშლება.

ვიყოთ კეთილგონიერნი და ჩვენი სოციალური მდგომარეობისა თუ თანამდებობის მიუხედავად დავრჩეთ პატრიოტნი ამ მკირერიცხოვანი და დიდი ერისა“.

ეს დეპეშა არამცთუ ხსნის ამ თემასთან დაკავშირებულ იმ „გაცხარებას“, რის შესახებაც წინა პუბლიკაციებში მოგითხრობდით, არამედ ადასტურებს უაღრესად სახიფათო ტენდენციების დამკვიდრების პრაქტიკას.

ლაპარაკია „პოლიტიკური ექსტრემიზმის“ კურსზე, რომლის განხორციელებაც, სამწუხაროდ, სწორედ ამ ეტაპზე, აშკარად დაიწყეს პატიაშვილმა და მისმა „გუნდმა“. უპრიანია იმის აღნიშვნაც და ფაქტებიც იმაზე მეტყველებენ, რომ გართულების ახალი ტალღა, ყოველთვის აგორდებოდა ხოლმე მოსკოვში მორიგი ვიზიტის შემდეგ. ზუსტად არ ვიცი, ვისთან თათბირობდა, ვისგან იღებდა ინსტრუქციებს პატიაშვილი (სავარაუდოა, რომ ამ „შთაგონების“ წყარო სკკპ ცკ-ს საორგანიზაციო-პარტიული მუშაობის განყოფილებაში და მის ხელმძღვანელ-კურატორებში უნდა ვეძიოთ), მაგრამ ის, რომ ცენტრიდან ყოველი დაბრუნების შემდეგ „კავალერისტული“ გამოხდომები უფრო და უფრო ცვლიდა ელემენტარულ გონიერებას, ეს ფაქტია.

ცკ-ს ხელმძღვანელობის პრაქტიკული აზროვნებისა და მოქმედების მთავარი პრინციპი გამოიხატებოდა ფორმულაში – „НАСТУПАТЬ И ДОБЫВАТЬ!

ამ ფორმულის „საავტორო უფლებას“ ცკ-ს უმაღლეს ხელმძღვანელობას ვერავინ წაართმევს. თვითონაც არ დაუთმობენ ვინმეს, რადგანაც ამ ფორმულით ეს „გუნდი“ არა მარტო ამაყობდა, არამედ მის განხორციელებას დაჟინებით ითხოვდა პარტიული აქტივისგან, განსაკუთრებით –დედაქალაქისა. კიდევ კარგი, რომ



გონიერება ბევრს ჯერ კიდევ ჰქონდა. ისინი გარეგნულად ფახი-ფუხობდნენ და ამით „ცალი ტაფა“ ერეოდნენ. სამაგიეროდ შესაძლებლობა-უფრთხილდა ინარჩუნებდნენ „ადამიანური სახეს“. სხვათაშორის, მაშინ პარტიულ აპარატში ბევრი ახალგაზრდა მოვიდა და მახსოვს, თუ როგორი გაკვირვებით ითხოვდნენ ისინი ამ არამარტო „ბრძნული“, არამედ თანამემამულეთა მიმართ მუშტი-კრივის გამართვის „ზნეობრივი“ ლოზუნგის ახსნას. ეს უკვე შეფასება იყო და ეს იცოდნენ მისმა ავტორებმაც.

რამდენი მოწმის დასახელებაა საკმარისი იმისთვის, რომ ირწმუნოს მკითხველმა ის, თუ რობერ ითხოვდა იდეოლოგიური სამსახური და მისი წამყვანი ბირთვი ამ ლოზუნგის უარყოფა-ტაქტიანად თუ უტაქტოდ, საჯაროდ თუ პირისპირ, ოფიციალურად და შინაურულად...

ჯერ კიდევ 1986 წლის დამდეგს, როცა მიტინგების გამართვა მთელს სსრკ-ში თანდათანობით მოდაში შემოდიოდა, ცკ-ს პროპაგანდის განყოფილებამ ითხოვა შეგვემუშავებინა საკანონმდებლო ნორმა და მის შესატყვისად მომხდარიყო მიტინგებისა და დემონსტრაციების რეგლამენტაცია. სათანადო აქტის პროექტიც მოვამზადეთ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. მისი მიღების შემთხვევაში პირველები ვიქნებოდით მთელ სსრკ-ში, მაგრამ... უარი! თანაც ამ უარის თქმის დროს ყველაზე მეტად იაქტიურა სკკპ ცკ-ს საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორმა, რომელიც ამ თათბირს ეხმრეობოდა. (პატიაშვილმა, რა თქმა უნდა, მისი მოსაზრება გაიზიარა. ჩვენდა სავალალოდ, აი, ასეთი „ინსტრუქტორები“ წყვეტდნენ ზოგჯერ ერთი კაცისა და რესპუბლიკის(!) ბედს. ასეთი „აეშკების“ წინაშე ცკ-ს ხელმძღვანელობის მხრიდან კონიუნქტურული „ქულების“ დაგროვების შეურაცხმყოფელი პრაქტიკა. სამწუხაროდ, იქცა, არა მარტო მისი საქმიანობის სამარცხვინო ატრიბუტად, არამედ გადამწყვეტი და დამღუპველი გახდა 9 აპრილის ამბებში.).

მაინც, რატომ „ჩავარდა“, ერთი შეხედვით, ეს მარტივი და ცხოვრებისეული საკითხი? იმიტომ, რომ თუ კანონი „პერესტროიკისა“ და „გლასნოსტის“ პრინციპების შესაბამისად შემუშავდებოდა, მაშინ ოპოზიციას მიეცემოდა კონსტიტუციით გარანტირებული უფლების რეალიზაციის საშუალება და მექანიზმი. ამის შედეგად ველარავინ აკრძალავდა (!) კანონით ნებადართულ თავშეყრას.

...ნუროვის დარჩება შთაბეჭდილება, თითქოს პირადად მე ყოვლისმპატიებლობისა და ტაშ-ფანდურისკენ მოვუწოდებდი ხელმძღვანელობას. არა! მაგრამ, მაშინ მოქმედი კანონების და კონსტიტუციური პრინციპების უზენაესობის აღიარების და მისი უყოყმანო დაცვის მაგალითი, უწინარესად, ხელისუფლებას უნდა მეცა. უმაღლესი ხელისუფლება კი, მაშინ, ცკ და მისი პირველი მდივანი გახლდათ.

არაერთი მაგალითია იმის დასადასტურებლად, თუ რა ზერელედ და ამჩატებით ეკიდებოდა მაშინდელი ხელისუფლება კანონს. ჩვენ ხომ ისეთი „მაგრები“ ვიყავით, რომ ყოველთვის–„НУЖНО ПОКАЗАТЬ СИЛУ!

არაფა, შეიძლებოდა, თანაც მშვენიერად, და ვალდებულნიც(!) ვიყავით, როგორც მმართველი პარტიის ხელმძღვანელები და უბრალოდ –ქართველები, დროულად და უცილობლივ მოგვეხსნა საერთო ენა საზოგადოებრიობის იმ ნაწილთან, რომელიც პოლიტიკური მოწინააღმდეგე კი იყო, მაგრამ იმ ეტაპზე მოგვიწოდებდა ეყოფილიყავით *„კეთილგონიერნი და ჩვენი სოციალური მდგომარეობისა თუ თანამდებობის მიუხედავად დავრჩეთ პატრიოტნი ამ მკირერიცხოვანი და დიდი ერის“*–ამ.

ჩვენ უფრო მეტი მოგვეთხოვებოდა. რეალური ხელისუფლება ჩვენ ვიყავით. ჩვენ გვმართებდა ყოველგვარი დიქტატის, მონოპოლიზმის, ამბიციურობის

გაგრძელება მე-8 გვ.

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

ლეო ქიაჩელი „ჰაკი აძბა“

(განხილვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №5

ძუძუმტეობა და „კორმილიცობა“

„ჰაკი აძბა“ ორპლანიანი ნაწარმოებია. მასში, ერთი მხრივ, დაპირისპირებულია ორი განსხვავებული ზნე და ხასიათი, განსხვავებული ეროვნული ნიშნის მიხედვით (ჰაკი აძბა და კუზმა მრისხანე).

მეორე მხრივ, ნაჩვენებია ასევე ორი საწინააღმდეგო ზნე და ხასიათი, რომელსაც საფუძველად უდევს არა ეროვნული ფსიქიკის სხვადასხვაობა, არამედ სულ სხვა რამ. კერძოდ, ტრადიციისადმი. ერთგულება და ტრადიციის უარყოფა, ეროვნული ფესვის შეგრძნება და ამ უკანასკნელზე ნებაყოფლობით უარის თქმა, რასაც განაპირობებს ახალი „იდეალების“ ერთგულება“. (ამ აზრით საინტერესო იქნება უჯუშ ემხას ფსიქიკის წარმოჩენა მისივე თანამოქალაქეების სამსონ დავანაძისა და ნარიშ ეშბას დახასიათების ფონზე).

ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი. ჯერ კი ჰაკი აძბასა და კუზმა მრისხანეს პორტრეტები გამოვკვეთოთ.

უკვე ითქვა იმის შესახებ, რომ კრეისერ „შმიდტის“ უფროსს კუზმა მრისხანეს, მისი ულტიმატუმის თანახმად, გემზე წარუდგინეს ოფიცერი ემხა და მისი ძიძიშვილი ჰაკი აძბა. ჰაკი საქვეყნოდ გაიძახის: მე ვარ დამნაშავე მკვლელობაში და ეშბას არავითარი დანაშაული არ მიუძღვისო. ამ უცნაური კაცის საქციელით გაოგნებულ კუზმა რუსს, ქალაქის თავმა, სამსონ დავანაძემ პატარა „მოხსენება“ გაუკეთა უჯუშ ემხასა და მისი ძიძიშვილის შესახებ. როდესაც კრეისერის მეთაურმა მისივე მეზღვაურებისა და თვით უჯუშ ემხასაგან შეიტყო, რომ ნამდვილი მკვლელი თავადი ემხა იყო, ჰაკი აძბა კი დანაშაულს იბრალებდა, ჯერ არ დაიჯერა გლეხის ერთგულება და თავგანწირვა თეორგვარდიელი ოფიცრისადმი. ეგონა, რომ ეს ძალდატანება იყო თავადების მხრივ, რომლებიც შეუგნებელსა და ერთგულ გლეხს ავალებდნენ, საკუთარი სიცოცხლის განწირვით „ბატონი“ ეხსნა სიკვდილისაგან.

ამიტომ კუზმას არსებაში ჰაკისადმი ზიზღის გრძნობა სიბრალულმა შეცვალა. სიბრალულმა შეუგნებელი, კლასობრივი დაჩაგრული „ძმისადმი“ და მიმართა:

– შენ ხარ მონა, აფხაზო, კრეისერ „შმიდტის“ სახელით განიჭებ თავისუფლებას, წადი და დაივიწყე შენი ბატონი.

მაგრამ ჰაკი არც წავიდა და არც თავისი „ბატონი“ დაივიწყა. როცა კრეისერის მეთაური საქმის ნამდვილ ვითარებას გაეცნო, როცა მიხვდა, რომ ჰაკი, როგორც ძუძუმტე უჯუშისა, სრულიად შეგნებულად სწირავდა თავს, „მისი რევოლუციური შეგნება ისე აღშფოთდა, რომ ჰაკის კლასობრივი სიბრმაე საკუთარ შეურაცხყოფად მიიღო და გულში გადაწყვიტა, ამ იშვიათ ტიპს ახლოს გასცნობოდა, რათა ეცადა მისი „დამუშავება“. კუზმას შეუძლებლად მიაჩნდა, რომ აფხაზი გლეხის შეგნებაში არ აღმოჩენილიყო სულ მცირე ნიადაგი მაინც ელემენტარული რევოლუციური იდეის შესათვისებლად. ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეჯიბრების გრძნობამ მოიცვა“.

ამ სიტყვებს, – „ძველი მეზღვაური და რევოლუციონერი ერთგვარი შეჯიბრების გრძნობამ მოიცვა“, გასაღების ფუნქციაც ენიჭება ნაწარმოების მიზანდასახულობის გასარკვევად.

საქმე ისაა, რომ „ჰაკი აძბასადმი“ მიძღვნილ წერილებში ხშირად ის აზრია გატარებული, თითქოს ძველისა და ახლის ჭიდილში (ძველში ძირძველი ტრადიციები იგულისხმება, ახალში კი. რევოლუციური იდეები) ახალი ამარცხებს ძველს. კუზმა მრისხანე, უჯუშ ემხასა და ჰაკი აძბას სახით, ამარცხებს ყოველივე ყველგასულსა და დრომოჭმულს...

ეს, ცხადია, არ არის მართებული დასკვნა.

იმ „ერთგვარ შეჯიბრებაში“, რომელსაც ადგილი ჰქონდა რევოლუციონერ კუზმა მრისხანესა და „ჩამორჩენილ“ ჰაკი აძბას შორის, კუზმა დამარცხდა. მართალია, ჰაკიმ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, მაგრამ ეს სწორედ იმიტომ მოხდა, რომ მის არსებაში იოტისოდენა ნიადაგიც არ მოიძებნა ახალი იდეების შესათვისებლად...

მან, მისთვის უცხო კუზმა მრისხანის კლასობრივ ძმობას, ძუძუმტისთვის თავგანწირვა არჩია.

აქედან გამომდინარე, ამ „ერთგვარ შეჯიბრში“ კუზმა მორალურად დამარცხდა, მისი სახით კი ის იდეა, რომელსაც ის ჰაკის უქადაგებდა.

თუმცა, ჰაკის სიმტკიცესა და თავგანწირვას იგი სრულიად არ ჩაუფიქრებია. ნაცვლად იმისა, რომ რევოლუციონერ კუზმას ერთხელ მაინც ეფიქრა, რომ რევოლუციურის გარდა არსებობს სხვა რამ მრწამსიც, რომლისთვისაც ადამიანმა შეიძლება თავი გასწიროს, იგი ჰაკის თვითმკვლელობის შემდეგ სრულიად შეუვალად ამბობს:

„სულ ერთია, ეს მონა ადამიანად მაინც არ გამოდგებოდა“... ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ მეზღვაურს, რომელიც ვასილ ხრიტანიუკს ახლდა თან და რომელმაც თავს უშველა, რომელმაც თავი არ გასწირა თავისი კლასობრივი ძმისთვის, კუზმა მრისხანე ლაჩრისა და მოღალატის სახელით მონათლავს და მოიკვეთს.

მაშასადამე, კუზმასათვის „კლასობრივი ძმისთვის“ თავგანწირვა გმირული აქტია, ძუძუმტისათვის თავგანწირვა კი მონობა...

ჰაკის საქციელის ნამდვილი არსი გაუგებარი დარჩა კუზმა რუსისთვის, არა მხოლოდ მისი კლასობრივი შეგნების გამო, არამედ, და პირველ ყოვლისა, მისი განსხვავებული ეროვნული ფსიქიკიდან გამომდინარე.

მას ვერ გაუგია, რა ისეთი მაგია ახლავს ძიძიშვილობას, რომ გლეხს თავადისათვის თავი გააწირვინოს. არადა, მორდუობა–ძიძიშვილობის გრძნობა მართლაც მაგიური ძალით აკავშირებდა საქართველოში ადამიანებს. ჩვენში „საუკუნეთა განმავლობაში გამომუშავდა ერთი, სხვა ისტორიულ ხალხთათვის თითქმის უცხო ზნე–ჩვეულება – წერს ივართაგაკა – ეს ზნე–ჩვეულება გამოიცდებოდა მორდუობა–ძიძობის სახით. ეს იყო უმაგალითო ერთგვარი კულტი. ამ კულტის არსი ჩამოყალიბებულია ჰაკი აძბას მამის ანდერძში, რომლის წმინდად შესრულება მან შვილს დაავალა, – უკოჟმანოდ თავი გაეწირა გაზრდილისათვის.

მამა–პაპათა ანდერძის ერთგული შემსრულებელი ჰაკი აძბა ნამდვილ გმირობას იჩენს, შეგნებულად თავს სწირავს, როგორც ძიძიშვილი.

მისი საქციელი დროებითი სულიერი აფორიაქების, ნერვების აშლის, რაიმე პათოლოგიური ელემენტის გამოულინება როდია.

ეს შეგნებული აქტია, აწონილ–დაწონილი, გათვალისწინებული და ამნაირად, უაღრესად კეთილშობილური.

ამას გრძნობენ სოხუმელები, კუზმა მრისხანემ კი ჰაკის თავგანწირვა მონობით, უკულტურობით, ჩამორჩენილობით ახსნა“. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან „ძიძობა, ძიძიშვილობა, მორდუობა და ამ ძველი ქართული ტრადიციის სფეროში წარმოშობილი უანგარო, პირდაპირ სასწაულებრივი ძალის მქონე სიყვარულის, სულიერ–ხორციელი ნათესაობის გრძნობა, მხოლოდ ქართველისთვისაა გასაგები...

ქართველი დედა–ძიძა თავის რძეს არ ყიდდა; სხვის შვილს ფულისთვის არ ზრდიდა. გაზრდილი იმისათვის არ უყვარდათ გამზრდელებს, მათი ოჯახის წევრებს და მოგვარეებს, რომ გაზრდილის ქონებით და დახმარებით იყენენ დაინტერესებულნი.

ძიძა–მორდუს და გაზრდილის ოჯახებს შორის შეუწყვეტელი სულიერი კავშირი მყარდებოდა. გაზრდილის დავიწყება ქართველი კაცის შეხედულებებით წარმოუდგენელი იყო.

სულ სხვას ვხედავთ რუსეთში. რუსეთში იყო ძიძობა. მაგრამ ძიძობამ აქ სულ სხვა ხასიათი მიიღო. რუს ძიძას, „კორმილიცას“ ჩვეულებრივ ქირაობდნენ, ოჯახში მიჰყავდათ და ცხრა–ათი თვის შემდეგ ძიძა ოჯახს და თავის გაზრდილ ბავშვს თავს ანებებდა და მათ შორის კავშირი წყდებოდა.

არავითარი სულიერ–ზნეობრივი, ნათესაური კავშირი არ მყარდებოდა მათ შორის. რუს „კორმილიცასაგან“ გაზრდილი ახალგაზრდა (ვაჟი თუ ქალი) სრულებით არ იცნობდა „კორმილიცას“ შვილებს და არც „კორმილიცას“ შვილები იცნობდნენ მათი დედის რძით გამოკვებილს. მათი სქესობრივი კავშირი დასაშვებია და ბუნებრივ აქტად ჩაითვლება“...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ „ჰაკი აძბაში“ ლეო ქიაჩელი ჰაკისა და კუზმა მრისხანეს შეპირისპირებით, აღწერს არა მხოლოდ ახალისა და ძველის ჭიდილს, არა მხოლოდ რევოლუციური და კონტრრევოლუციური შეგნების წინააღმდეგობრივ ბუნებას, არამედ იგი უფრო შორს მიდის. ნაწარმოებში დაპირისპირებულია ორი ერის განსხვავებული ფსიქიკა, ხასიათი, ზნეობრივი მრწამსი.

მორდუობა–ძიძიშვილობის ზნეობრივ კოდექსზე აღზრდილ ჰაკი აძბას ევროპული გაუგო იმ ქვეყნის შვილმა, სადაც ძუძუმტეობას „კორმილიცობა“ ენაცვლება.

„ჰაკი აძბა“ იმ დროს იწერებოდა, როცა გარემოებამ ამ ორი ერის შვილები ერთ ჰანგზე აამღერა, ერთ ენაზე აალაპარაკა, ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა, როცა მათ ერთმანეთს „გაუგეს“...

ჰაკისა და კუზმას რადიკალურად საპირისპირო ხასიათების ჩვენებით კი მწერალმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ერთიანობა, ეს კავშირი, ეს იდეური ერთობა ნაძალადევი და არაბუნებრივი იყო.

ჰაკი აძბასა და კუზმა მრისხანეს შეპირისპირებით დახასიათება კიდევ ერთი დასკვნის საშუალებას გვაძლევს.

უჯუშ ემხას მიერ მოკლული რევოლუციონერი მეზღვაური „კონტრრევოლუციონერმა“ ჰაკიმ ახლიბელიევით დაიტირა.

„ჰააააპაიტ, რა დიდი უბედურება მოხდა, კაპიტან, დამიჯერე, გული მტკივა მისთვის და უზომოდ ვწუხვარ. ძმასავით მეხანება. ვიტირო მინდა. მე კი არასოდეს არ მიტირია, კაპიტან ახლა კი ვტირი... ვაპაპაი, ძმაო, ვაპაპაია, ჩემო ძმაო.

და ჰაკიმ ხელისგული რამდენჯერმე შუბლზე ტაკაცანით შემოიკრა. ზედ ზმუილი და ქვითინი მოაყოლა. მერე ვაიუიანი მოთქმა დაიწყო მოტირალი ქალივით.

გაკვირვებულმა კუზმამ უცებ მისკენ თავი მოატრიალა, უნდოდა თვალით შეეხედა, რადგან ყურს არ დაუჯერა.

ჰაკის სახე ღრეჯით მოექცა: წარბებით დარდილულ შავ ჯურღმულებში ჩამსხდარი ყვითელი თვალები უღრმესი მწუხარების შუქით აციმციმებინა და ქუთუთოებზე, ორთავე ღაწვის გაყოლებით, ცხარე კურცხლებს ბრჭყვიალა მძივები ჩამოეკიდნა.

– ვაპაპაია... ვაპაპაია, ჩემო ძმაო, – მოთქვამდა იგი და თვალებიდან ცრემლები ღაპალუპით ჩამოსდიოდა“.

მართალია, ჰაკი აძბა იმისათვის უფრო გოდებს ასე გამწარებით, რომ კუზმა მრისხანეს გული მოიგოს, ერთგულ კაცად მოაჩვენოს თავი და შემდეგ ემხას სიცოცხლე გამოსთხოვოს, მაგრამ მისი გლოვა იმავდროულად არც მთლად დაცლილია გულწრფელობისაგან. ცრემლებს ღაპალუპით ხელოვნურად ვერ ჩამოიდენდა იგი.

ჰაკიმ, მართალია, იცის, რომ მისმა ძიძიშვილმა მოძალადისაგან დაიცვა თავი და ამდენად, მეზღვაური სამართლიანად იყო დასჯილი, მაგრამ მკვდარი მას მაინც ეცოდება. მკვდარი მისთვის მტერი აღარ არის და მის არსებაში გაღვიძებული სიბრალულის გრძნობა ბუნებრივია და ადამიანური.

იგივეს ვერ ვიტყვით კუზმა მრისხანეს მიმართ. მისი რევოლუციური შეგნებისათვის მტრის შებრალების, თუნდაც დამარცხებული და დატყვევებულ მტრის შებრალებისა და პატიების გრძნობა უცხოა.

კუზმა ნამდვილი რევოლუციონერის სახეა. ამ მხრივ მისი გარეგნული პორტრეტი რევოლუციის შინაგანი არსის ერთგვარ სიმბოლოდაც შეიძლება წარმოვიდგინოთ.

კუზმას სახით კრეისერზე მყოფ სოხუმის დელეგატებს საკვირველება გამოეცხადათ: „ამ კაცის ერთ ტანზე ორ პირისახესა და სამ თვალს ხედავდნენ სრულიად გარკვეულად“. „ეს იყო ზედაგდნენ დიდი, ღრმა, ძლიეს შეხორცებული ჭრილობისა, რომლის მოწითალო კვალი მთელ სახეზე გადაუდიოდა ირიბად, მარცხენა საფეთქლიდან დაწყებული ნიკაპის მარჯვენა კუთხემდე. მარცხენა თვალის ზედა ქუთუთოს ერთი ნახევარი შუაში გაჭრილ წარბს ქვეშ ჩამოთლილი ჰქონდა და გაშიშვლებული. კაკლის ნაწილი ამ ადგილას მუდამ ღია, ცალკე თვალის შთაბეჭდილებას სტოვებდა მეორე ნაწილის გვერდით, რომელსაც ქუთუთოს ნაგლეჯი შერჩენოდა.

ამ თვალიდან ჭრილობა ლოყას მიყვებოდა და ნესტოჩამოკვეთილ ცხვირთან შუაში გადაჭრილ ტუჩებზე გადავლით, ნიკაპის მარჯვენა კუთხეში წყდებოდა.

სახის მთელი ეს კანშემოჭიმული ნახევარი უძრავი და უცვლელი იყო, სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად უსასტიკესი რისხვის გამოხატულებას ატარებდა, წინააღმდეგ მეორე მთელი ნახევრისა, რომელსაც მშვიდი, ღრმა და ხანდაზმულობის გონიერი იერით ამეტყველებული თვალი ამშვენებდა“.

იმდენად შთამბეჭდავადაა აღწერილი კუზმა მრისხანეს გარეგნული იერ–სახე, რომ შეუძლებელია ამ საზარელი ჩვენების დავიწყება. სახის ერთი ნახევარი „სულ ერთნაირი გამომეტყველების მქონე, რომელიც უცვლელად რისხვის გამოხატულებას ატარებდა წინააღმდეგ მეორე მთელ–ნახევრისა“, იმავდროულად კუზმას სულიერ რაობაზეც მიგვანიშნებს. მისი რევოლუციური შეგნებაც ასეთივე იყო. ერთი მხრივ, დაუნდობელი, უსასტიკესი ყველასადმი, ვისაც იგივე შეგნება არ ჰქონდა. მეორე მხრივ კი, თანამოაზრეებისადმი ლმობიერი. ცხადია, კუზმა ჰაკი აძბასავით მტერს ვერ დაიტირებდა, ვერ შეიბრალებდა.

თვით რევოლუციაც კუზმასავით ორსახოვანი იანუსი იყო. ერთი მხრივ, სასტიკი და მძვინვარე, სიკვდილის მთესველი, მეორე მხრივ, ახლის დასამკვიდრებლად მოელენილი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ბოროტება და სიკეთე, მძვინვარება და ლმობიერება ერთად ვერ ხარობს.

ჰაკი აძბამ იგრძნო კუზმას სულიერ–ფიზიკური ორსახოვნების მთელი საშინელება და ემხას დახვრეტის შემდეგ კრეისერის მეთაურს გაბოროტებულმა მიმართა:

– კაპიტან, მე შენი მეზღვაური ძმასავით ვიტირე. მით ძმობა შემოგფიცე– შენ კი უჯუში მომიკალი. ძალი ყოფილხარ, კაპიტან... ჰო, სისხლი! სისხლი!“.

მაგრამ ჰაკი აძბას სისხლის აღება არ შეეძლო. იგი კრეისერის ეკიპაჟს ვერას დააკლებდა და თავი მოიკლა. ასე გაიმარჯვა ძალამ. ასე გაიმარჯვა (ფიზიკურად და არა მორალურად) ახალმა ძველზე, ანუ უადამიანობამ ადამიანობაზე.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სახელდახელო ჩანაწერები

ქართველები

ფსიქოლოგიური ეტიუდები

ვახტანგ გოგუაძე

* * *

როცა ბრეჟნევი „სისტემატიჩესკის“ ნაცვლად სისიმასის ამბობდა, ჰასანა ნადირაძე უნივერსიტეტის პირველი კორპუსის დერეფანში, ფანჯრის რაფას მიყრდნობილი ამტკიცებდა: ლენინი არ არსებობდა, სტალინმა გამოიგონა. აბა, პირველი, მეორე და მესამე რევოლუციის დროს რუსეთში არ ყოფილა ეს შობელძაღლი და რანაირი ბელადია ეგა?

– ჰასან, ლექციებზეც ამბობ მაგას?

– აბა?! ვუყვები სტუდენტებს.

– „КГБ“ რას ამბობს?

– მე მგონია არც მაგათ სჯერათ, იცინიან.

* * *

ნადირაძეები ექვსი ძმა და მამა სუფრაზე დასხდნენ. ერთი ერთმანეთზე თვალადები და განსწავლულები.

– ერთი ჭიქის მეტი ვერ დავლიეთ, სადღეგრძელო არ გამოგვივიდა. ეს-ესაა უნდა დავიშალოთ, ერთი კინკილა მეზობელი შემოგვესტუმრა. იცოცხლე, ქეიფი წავიდა – კარგად ხსნის ამ ადათის წესს ჰასანა:

ერთ ზაფხულს, საღამოს, რამდენიმე ფილოლოგი მისალები გამოცდებიდან ჯურხა ნადირაძეს ვეწვიეთ. პურმარილია გაშლილი. ჯურხამ მუხრან მაჭავარიანს დაურეკა. ცხონებული ჯურხა ცნობილი არქეოლოგი, პროფესორი, მუხრანის ძალიან ახლო მეგობარია. ჯურხა ჯერ ეხვეწა, შემდეგ ძმურ ლანძღვაზეც გადავიდა. მოშიებული ფილოლოგები ნარდს აგორებენ ნერწყვის შესაჩერებლად. სატელეფონო დიალოგი გრძელდება. ჯურხა გაბრაზდა, ერთი წუთით მილსასმენს ხელი დააფარა და მეუბნება – ვახო, შენ მუხრანთან ახლოს არა ხარ, შენ სთხოვე, უარს ვერ გეტყვის.

– ბატონო მუხრან, მოგესალმებით...

გელოდებით ყველანი.

– კარგი, მოვდივარ.

მოვიდა მუხრანი. ძალიან მენატრება ამ კაცის დანახვაცა და ხმის გაგონებაც.

* * *

„ცისკარში“ მივიტანე ესსე „დონ ჟუანი“ (თუ არ ვცდები 1975 წელს). რედაქტორს ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანს ვხვდები.

– ბატონო ჯანსუღ, მადლობელი ვარ ჩემი ორი სტატიის დაბეჭდვისათვის. ახლა მესამეც მოვიტანე.

– თუ ორი წერილი დაგიბეჭდე, ძმაო, ახლა მესამე შემიძლია არ დაგიბეჭდო. ასე რომ, სამში ერთი კარგი ანგარიშია.

ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის, როგორც „ცისკრის“ რედაქტორის, დიდი დამსახურების არდანახვა არ ეგების. მარტო ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ დაბეჭდვის გაბედვა რად ღირდა!

* * *

ქუჩაში მივსეირნობთ მე, ტარიელ ჭანტურია (უფრო სწორედ ტარიელ ჭანტურია და მე – კარგა ხნის ამბავია). ვუყვები ერთი ინგლისელი თეოლოგის, ჩამბერლენის წიგნის შინაარსს: ეს თეოლოგი ამტკიცებს, ქრისტე წარმოშობით ებრაელი არ არის. ნაზარეთი გალილეაშია, გალილეველები კი, სადღაციდან გადმოსახლებული ტომია. გამოირჩეოდნენ მეომრული თვისებებით, ქეიფი უყვარდათ და ა.შ. ქრისტეს ფული არ უყვარს, უყვარს ნადიმი. მანდილოსნების მიმართ უაღრესად დახვეწილია, აქვს იუმორი... იუმორის ხსენებაზე ტარიელმა მკვეთრად მტაცა ხელზე ხელი და გამაჩერა.

– მე გულდასმით გისმენდი შენც და ჩამბერლენსაც. აშკარაა, ქრისტე გურული ყოფილა. ახლა ვაჟკაცურად მითხარი, რომელი სოფლიდანაა?

* * *

ჩემზან უაღრესად პატივსაცემმა პიროვნებამ არასაპატივსაცემო აზრი მაკადრა, განმიცხადა, მოეშვი მაგ რუსეთს. თუ გვინდა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო, ერთმორწმუნეობას უნდა დავუსხლტეთ, გამოვიცვალოთ სარწმუნოებაო. ჩემი პასუხი: რაღა ჩვენ შევიცვალოთ სარწმუნოება, რუსეთმა შეიცვალოს. საფუძველი: ერთხელ ბატონ ედუარდს შევჩივლე, – ხომ იცით, თქვენი არ იყოს, როგორი ჩაისტი ვარ, მაგრამ შავი ჩაის ხშირი სმა არ ვარგა, მინდა მწვანე ჩაიზე გადავიდე, მაგრამ დაიწყებენ, – აი, შევარდნაძეს ბაძავსო.

– იცი რა, ვახტანგ, გადადი შენ მწვანე ჩაიზე, ჯანდაბას, მე გადავალ შავ ჩაიზე.

* * *

ახლახან დილარ ხაბულიანის სახლში სვანურ პურ-მარილს წავეთამაშეთ. სუფრის სპიკერად ამირჩიეს. არა პირისპირ, გვერდიგვერდ მსხდარი დილარ ხაბულიანისა და ვალერი კვარაცხელიას სადღეგრძელო ავწიე დიდი სასმისით (სათითურით სმა დამღლელია). დილარი ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას შინაგან საქმეთა მინისტრია. დაიჭირა ვალერი კვარაცხელია. სამი დღით „კაპეზეში“ ჰყავდა „პირისპირ“, მერე როგორ დაუსხლტა და გაიპარა მოსკოვს, ვალერიც კი გაოგნებულია. თუმცა ერთ ხანს იგი იმალებოდა თამაზ ხაბულიანის სახლში. ამის შესახებ დილარ ხაბულიანმა ამ სუფრაზე გაიგო. თავში ხელი ირტყა. როცა დილარ-ვალერიმ, ვალერი-დილარმა ვახტანგური დალიეს – ეს იყო რაღაც საოცრად კარგი, საოცრად ქართული.

ამის დანახვას კაი მწერალი უნდა.

ვალერიმ თავისუფალი სადღეგრძელო ითხოვა. ზვიად გამსახურდიას სადღეგრძელო დალია.

– ზვიადმა დამიჭირა, მდევნიდა სასტიკად. ძლივს გადავურჩი. მაგრამ ეს ისტორიას ჩაბარდა. ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველ პრეზიდენტს ისტორიიდან ვერავინ ამოშლის. ზვიადი ჩემთვის დღეს სხვა ფენომენია, რომელიც მე მიყვარს, მებრალება და პატივსა ვცემ. თუ არ ავმაღლდით პირად განაწყენებებზე, ისე ერთიანობას ვერ მივაღწევთ.

გულწრფელად დავლიეთ ზვიადის ხსოვნის სადღეგრძელო.

ზვიად გამსახურდია ტრაგიკული მოვლენაა ჩვენი ისტორიისა. იგი ჩვენი ტრაგედიაა, ჩვენი სევდაა. იგი მოიშორეს იმ ძალებმა, რომლებმაც მოიყვანეს ხელისუფლებაში. ვერავინ მიმიხვდა ჯერჯერობით პრესაში არაერთგზის ნათქვამს: პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მიხვდა, რომ დასავლეთი საქართველოსათვის არ ყოფილა ის, რაც დისიდენტ ზვიად გამსახურდიას ეგონა. ამიტომაც განაცხადა ჯორჯ ბუშმა, – პრეზიდენტი გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდისო.

* * *

1988 წლის მარტის ცივი დღე. ახალი აბობოქრებულია სტუდენტური მოძრაობა. უნივერსიტეტის ეზოში შევდივარ. ივანე ჯავახიშვილის ძეგლის წინ მერაბ კოსტავა დგას რამდენიმე ახალგაზრდით წრეშემორტყმული. მე აღარ გადავუხვიე მისკენ, ზურგით იდგა, ცოტა მეჩქარებოდა კიდეც. შევდივარ პარტკომის მდივნის კაბინეტში (მე იმხანად პრორექტორი ვარ). თემურ ხუროძეს ორივე ყურთან მხრებით აქვს დაჭერილი ტელეფონები, ხელებში კი შედარებით დაბალი რანგის უფროსების ყურმილი ელოდება პარტკომის მდივნის ყურის გამოთავისუფლებას.

ძალიან შეშფოთებული თვალებით მანიშნებს, არ წახვიდეო. როგორც იქნა, სასწრაფოდ მოიშორა ყველანი იმედიანი დაპირებით.

– შენ გეძებ მთელი საათია. უნივერსიტეტის ეზოში მერაბ კოსტავა დგას. ახლა საცაა ლექციები დამთავრდება და იქ დიდი მიტინგი გაიმართება. გაგიჟებულია ცეკა. თუ ძმა ხარ, ჩადი და თხოვე, რომ წავიდეს, ხომ ვიცი, შენი მეგობარია.

იმ ხანებში ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას 10 მეტრში ვინც ჩაუვლიდა, დეზინფექციას უკეთებდა მთავრობა. ერთ ხანს უარი ვუთხარი: – მაგას ბრეჟნევმა ვერ გადაათქმევინა ვერაფერი, მე დამიჯერებს?!

– თუ ძმა ხარ, ჩადი, მე ვიცი, შენ დაგიჯერებს.

თემურ ხუროძეს ესთეტიკას ვუკითხავდი (ამიტომაც მღერის ესთეტიურად).

ეზოში ჩავედი. ფანჯრებში გადმომდგარიყვნენ ცნობისმოყვარე ქალები. ფხიზლობდა „კგბ“. ერთი სიტყვით, უნივერსიტეტის ეზო თვალებად ქცეულიყო. მერაბისაკენ გავემართე. როცა მივუახლოვდი, დამინახა, ჩემსკენ გამოეშურა... საინტერესოა, ჩამოართმევენ თუ არა ხელს ერთმანეთს საბჭოთა პრორექტორი და მრისხანე დისიდენტი. ალბათ, მწყრალი, მტრული გამომეტყველებით თუ დაელაპარაკებიან ერთმანეთს. ასე ფიქრობდნენ ჭკვიანი კონიუნქტურელები. ასეთი იყო მაშინდელი ფსიქოლოგია. ერთმანეთს გადავეხვიეთ, როგორც ყოველთვის, მანამდეც და მერეც. თანმხლებ ბიჭებს მივმართე – ცოტა ხნით მერაბი უნდა წაგართვათ. ხელი მკლავში გავუყარე და ეზოს სიღრმისკენ წამოვედით.

– მერაბ, ხომ ხედავ, როგორ პარალიზებულია ყველაფერი.

– ჰო, აბა, რა უნდათ, თუ იცი.

– შეშინებულები არიან, მიტინგს ჩაატარებსო. „დათა თუთაშხია“ ხომ გახსოვს?

– როგორ არ მახსოვს.

– აბა მე შენთან მოვედი, როგორც მუშნი ზარანდია.

მერაბს გაეცინა – შენ თუ გინდა მე აქ „მარკა“ ამიწიო, მოდი ჩემს სიტყვაზე ამ ბიჭებს მოხვიე ხელი და წადი.

– [illegible]

[illegible] უნივერსიტეტის მთავარ შესასვლელთან შეგროვებული მანდილოსნების რეაქციით, მივხვდი, მერაბმა, რა თქმა უნდა, სიტყვა შეასრულა. მთელი დღე მეხვეწებოდნენ ცეკა-ტეკა, – რა უთხარი ამისთანაო. საღამომდე ვერ მათქმევინეს. მერაბი იყო საოცრად არაჯიუტი და პრინციპული. ჯიუტი კაცი არასდროსაა პრინციპული.

* * *

ალბათ, ორმოციოდე წელი იქნება, რაც გააქტიურდა მარკუზეს თეორია – პროლეტარიატი კი აღარაა რევოლუციური კლასი, ახალგაზრდობა, სტუდენტობა იქნება მოძრაობის ინიციატორი. სამწუხაროა ოღონდ, სტუდენტურ მოძრაობას დიდი სპეცსამსახურები რეაქციული მიზნით წარმართავენ ხშირად.

* * *

სტუდენტური მოძრაობაც სახიფათოა და უძრაობაც, აპათია თავისი ქვეყნის ბედისადმი არანაკლები უბედურებაა. როდინდელი მოძრაობის თარიღი გაგონდებათო ყველაზე უკეთ, – მე უყოყმანოდ ვპასუხობ: 1978 წლის 14 აპრილი. იმ დღეს თბილისში არ არსებობდა კლასი, ფენა, სამსახურის სახეობა, ერი და ბერი, რომ ერთად არ ყოფილიყო. ყველამ ვიხილეთ სულიწმიდის მადლის გაბრწყინება. ქართულმა ენამ იმ დღეს გადაარჩინა საქართველო, საქართველომ გადაარჩინა ქართული ენა. ეს მოძრაობა სტუდენტობიდან წამოვიდა. მისი თვალსაჩინო ლიდერი გახლდათ ნოდარ გრიგალაშვილი (არაერთგზის აღვნიშნე ამის შესახებ ჩემს ინტერვიუებში და წიგნშიც). ეს იყო ეროვნულისადმი ღირსეული სიყვარული, ზრდილობის ლამაზი სურათიც. ჩვენ თუ დაგვღუპავს, დაგვღუპავს უზრდელობა. უზრდელობას, თავისთავად ცხადია, თან ახლავს უჭკუობა.

* * *

პარლამენტის სხდომებზე, რასაც მე ჭკუის მედიდურ დარიგებას ვუსმენდი, კარგად ახსოვს ბევრს. ერთხელ, ჭკუით არც ისე დაყურსული ყიყლიყო პოლიტიკოსი ცოფსა ყრის, მლანძღავს, მემუქრება, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჭკუაც დამარიგა, ძირითადად, რა არ უნდა გავაკეთო.

– გმადლობთ, ასე უხვად, უფასოდ რომ მჩუქნით თქვენს სიბრძნეს, ხომ იცით, მე თქვენს ჭკუებს ვაგროვებ, თქვენ კი რაღა დაგრჩებათ.

ამის შემდეგ კარგა ხანს შეაჩერეს ჭკუით ჩემი დასაჩუქრებები.

* * *

– ძვირფასო დეპუტატებო, ბოღმას ნუ ჩაიდებთ გულში. გულში კარგი რამე უნდა შეინახოთ, თუ გინდათ დღეგრძელი იყოთ. ბოღმა კი წუთნახევრის მეტი არ გააჩეროთ თქვენს კეთილ გულში. დაგიმძიმებთ გულს...

არ ვიცი, იმოქმედა თუ არა ამ ნათქვამმა, მაგრამ ზუსტ სიტუაციაში კი ვთხოვე.

* * *

დღეისწინანდელი ჩვენს პარლამენტში პოზიცია-ოპოზიციას შორის გამარჯობის თქმა ჭირდა. შემდეგ დათბა. ბევრი რამ ვისწავლეთ ერთმანეთისაგან. ყველაზე უკეთესი: პოლიტიკური დაპირისპირება მტრობად, სიძულვილად არ უნდა ვაქციოთ. როგორ ტრიალებს წუთისოფელი, ხომ ვხედავთ. გუშინდელი მოსისხლე მტერი ძმად გაგიხდება, დღევანდელმა ძმამ ხვალ შეიძლება კაენის მოვალეობაც იკისროს. ზომაზე მეტ იმედებს ნუ დავამყარებთ ადამიანზე. იმედი უნდა დავამყაროთ არსთა გამრიგეზე.

გაგრძელება იქნება

მათ სახელმწიფო მეწველი ძროხა ეგონათ

მესამე გვერდიდან

რუსეთიდან მეტალის ჟეტონების შესყიდვა-შემოტანა, რომლებიც ერთი უბრალო მიზეზის გამო უცებ გაქრნენ ხმარებიდან. მყიდველი უკან აღარ აბრუნებდა მეტალის ჟეტონს მათ შემცველობაში არსებული ძვირფასი ლითონის გამო. ამის შემდეგ თბილისის მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას ისღა დარჩენოდა კვლავ, უკვე 1993 წელს, დაედო ახალი ხელშეკრულება „არის-ანგსტრემთან".

ხელშეკრულების თანახმად, ჟეტონების დამზადებასა, მათ ხარისხზე და რაოდენობაზე კონტროლი ევალებოდა „არს-ანგსტრემს", მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო მეტროპოლიტენმა კვლავ დაარღვია ხელშეკრულება და საკუთარი ინიციატივით დაიწყო ჟეტონების ჩამოსხმა ჯერ შპს „ედელვაისში", ხოლო შემდეგ ქარხანა „ელექტროაპარატში", რის გამოც გაიზარდა ჟეტონების დამზადების ტექნოლოგიის მცოდნე პირთა წრე. გაურკვეველია ამ შემთხვევაში მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის მოტივიც, რადგან ზემოთაღნიშნულ საწარმოებში ჟეტონების ჩამოსხმაში გადახდილი იქნა 229.516 ლარით მეტი თანხა, ვიდრე ეს ჯდებოდა „არის-ანგსტრემში"!!!

ყალბი ჟეტონები პირველად აღმოჩენილ იქნა „არის-ანგსტრემის" მიერ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობა მეტროპოლიტენის სამმართველოს ხელმძღვანელობას. 1995 წლის 3 ოქტომბრიდან მოყოლებული 1996 წლის 10 ივნისამდე, როდესაც ყალბი ჟეტონების შესყიდვასა და მიმოქცევაში გაშვებაში ამხილეს სადგურ „სამედიცინო ინსტიტუტის" უფროსი ოპერატორი ვ.გოგნიაშვილი, მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობას არავითარი ღონისძიება არ მიუღია და არც უცნობებია სამართალდამცავი ორგანოებისათვის ყალბი ჟეტონების ე.ი. დანაშაულის ფაქტის შესაძლო არსებობის შესახებ. მხილების ფაქტი მოხდა კომისიის მიერ აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებიდან 4 დღის შემდეგ.

მოქალაქე ვ.გოგნიაშვილის „მხილების" ფაქტი მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის მიერ განტევების ვაცის ძებნას უფრო ჰგავს. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი ფაქტი. გოგნიაშვილი გამოტყდა, რომ უცნობი პირისაგან შეიძინა და მიმოქცევაში გაუშვა 4 ათასი ცალი ყალბი ჟეტონი. ვ.გაბუნიამ ეს ფაქტი წერილით სასწრაფოდ აცნობა ტრანსპორტის პროკურატურას. აღნიშნული წერილის საფუძველზე რესპუბლიკის ტრანსპორტის პროკურატურამ აღძრა ს.ს.საქმე ზ.ამოქალაქის მიერ ყალბი ჟეტონების შეძენისა და მიმოქცევაში გაშვების ფაქტზე, რისი არანაირი საფუძველი არ არსებობდა და ვერც იარსებებდა, რადგან მოქ. გოგნიაშვილს მხილების პროცესისთვის შეძენილი ჟეტონები უკვე გაშვებული ჰქონდა მიმოქცევაში და მათი დაკავება ვერ მოხერხდა, ხოლო სადგურიდან გადარჩეული ჟეტონების სიყალბე ექსპერტიზამ დაადგინა ხუთ ივლისს ანუ საქმის აღძვრიდან 25 დღის შემდეგ.

ოფიციალურად ყალბი ჟეტონების არსებობის ფაქტი დაადგინა საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატამ 1996 წლის 30-31 იანვარს. 7 სადგურიდან ამოღებულ და გაგზავნილ იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურული კვლევის ცენტრში 100-100 ჟეტონი გამოკვლევის ჩასატარებლად. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა - მეტროს სადგურებიდან ამოღებული ჟეტონების 13,3% (!!!) ყალბი აღმოჩნდა.

პარლამენტის დროებითმა საგამომძიებლო კომისიამ მართლაც კოლოსალური მუშაობა გასწია. ჩატარდა ერთობლივი ღონისძიებები კონტროლის პალატასთან ერთად, გამოკვლევის საკითხთან დაკავშირებული საბუთების და ინფორმაციის ურთიერთგაცვლა. დღეს სახეზე გვაქვს დასკვნა, რომელსაც დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ:

კომისიამ შეისწავლა თბილისის მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასურის გადახდის საჟეტონო სისტემაში ყალბი ჟეტონების არსებობის ფაქტი და მოძიებული მასალების ანალიზის საფუძველზე დაადგინა შემდეგი:

ყალბი ჟეტონების დამზადებას და შეუფერხებელ გატარებას მეტროპოლიტენის გამშვებ-საკონტროლო პუნქტების მიერ, ხელი შეუწყო თავად მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობის მოქმედებებმა, კერძოდ:

1. მეტროპოლიტენის სამმართველომ, სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნიკურ ცენტრ „არის-ანგსტრემ"-თან დადებული გარიგების საწინააღმდეგოდ, თვითონ დაიწყო ჟეტონების დამზადება. აღნიშნული ფაქტი რომ არ მომხდარიყო, ასკსტც „არის-ანგსტრემი" ვალდებული იქნებოდა თავად ეგო პასუხი ყალბი ჟეტონების არსებობაზე და თავადვე აენაზღაურებინა მეტროპოლიტენისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი.

2. მეტროპოლიტენის ხელმძვანელობამ მათთვის და სახელმწიფოსთვის ეკონომიკურად არასასურველი პირობებით, კანონის დარღვევით - ფინანსთა სამინისტროს ნებართვის გარეშე, დაიწყო ჟეტონების ჩამოსხმა კერძო სტრუქტურაში - შპს „ედელვაისში", ხოლო შემდეგ კანონის მოთხოვნილებათა - სრული [illegible] ისწინებით - [illegible] „ელექტროაპარატში", რითაც თავის თავს და შესაბამისად - სახელმწიფოს, მიაყენა მატერიალური ზარალი (დაახლოებით 229,516 ლარი) და გაზარდა ჟეტონების დამზადების ტექნოლოგიის მცოდნე პირთა წრე და, აქედან გამომდინარე, ინფორმაციის გაჟონვის შესაძლო ალბათობა.

3. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ სკსტც „არის-ანგსტრემი"-ს მიერ მეტროპოლიტენის სადგურებში დამონტაჟებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს გაუწია ისეთი სახის ექსპლუატაცია, რომ აღნიშნულმა პუნქტებმა დაიწყეს ყალბი ჟეტონების გატარება. აღნიშნული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ კი, მთელი წლის განმავლობაში, მეტროპოლიტენის სამმართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან არ ყოფილა მიღებული ქმედითი ღონისძიება არსებული სიტუაციის აღსაკვეთად, რის გამოც მეტროპოლიტენის სისტემაში მოძრავი ჟეტონების 13,3% აღმოჩნდა ყალბი.

4. მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობამ, სადგურების სალაროების კომერციულ საქმიანობის სრული უკონტროლობის შედეგად, შექმნა აღნიშნულ სისტემაში სამსახურეობრივი მდგომარეობის ბორტად გამოყენებისა და სახელმწიფო ფულადი სახსრების მითვისების, სახელმწიფო საკუთრების ხელყოფისა და სხვა სერიოზული დარღვევებისთვის ხელსაყრელი პირობები.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია ასკვნის:

1. ქალაქ თბილისის მერიის წინაშე დაისვას მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის გ.გაბუნიას, სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის გ.ღამბაშიძის და მეტროპოლიტენის სამმართველოს სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა დაკავებულ თანამდებობებზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი.

2. დასკვნა და ინფორმაცია ზემოთაღნიშნული ფაქტების შესახებ, შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, გადაეგზავნოს საქართველოს პროკურატურას.

გადაეგზავნა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას.

ახლა ჯერი თქვენზეა, სამართალდამცავო ორგანოებო. „ბარამიძის" კომისიისგან კი (როგორც ხალხმა მას შეარქვა) სხვა ახალ საქმეებს ველით. ოღონდაც... ამას წინ ავტობუსში გაგონილი ფრაზა მახსენდება: ეგ კომისია იმდენს იზამს, მისი გასაუქმებელი ფულიც შეგროვდებაო. იმედი ვიქონიოთ, რომ ჯანსაღი აზრი და პოზიცია გაიმარჯვებს რესპუბლიკის ეკონომიკაში არსებულ ბნელ ძალებთან ჭიდილში და არ მოგვიწევს ძველი ქართული ანდაზის გახსენება: „თაგვმა თხარა, თხარაო, ჯატა გამოთხარაო".

კობა კიკნაძე

ავტონომია ნონსენსია

 შეიცვალა თუ არა ეთარება, პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული ავტონომიური სუბიექტები აღარ დაკმაყოფილდნენ მათთვის ადრე მინიჭებული სტატუსით და თუ არ ეცდები, ყველგან, სადაც კი ავტონომიური რესპუბლიკა იყო, ჩამოყალიბდა რესპუბლიკები თავიანთი პრეზიდენტებით. ასეა ჩვენს სინამდვილეშიც - აფხაზეთიც რესპუბლიკაა თავისი პრეზიდენტით და ეწ. სამხრეთ ოსეთიც. ამ შემთხვევაში სიტუაციას ჯერჯერობით ვერ ცვლის ჩვენი მხრიდან შათი „თვითმარქვიას" სახელით მოხსენიება.

პოსტსაბჭოურ სივრცეში არის ერთი გამონაკლისიც, რომელიც თავისი უფლებების გაზრდას ცდილობს ავტონომიის ფარგლებში. ეს გახლავთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. სადაც გასული წლის 21 სექტემბერს ჩატარდა ტიპური საბჭოური არჩევნები, რის საფუძველზეც ერთი საარჩევნო ბლოკიდან უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში შეეიდა დეპუტატთა საერთო რაოდენობის 92.5% (74 - 80 დეპუტატიდან).

ავტონომიური წარმონაქმნი როცა აღარ ფიგურირებს, ყოველი ასეთი გამონაკლისი აღიქმება, როგორც ანაქრონიზმი და ნონსენსი. ამიტომაც სიტუაციის ასე გაგრძელების შემდეგ მოსალოდნელია დღის წესრიგში დადგეს აჭარის ავტონომიის სტატუსის შეცვლის საკითხი (ამ სახით არჩევნების ჩატარება აჭარაში თავის დროზე გამართლებული იქნა იმ მოტივით, რომ საქართველოს ახალ კონსტიტუციაში ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის ქვეყანაში აქამდე არსებული ავტონომიების მომავალი სტატუსი).

აჭარის ავტონომიის შესახებ მუდამ იყო აზრთა სხვადასხვაობა, რადგანაც მთელ საბჭოთა კავშირში იყო ერთადერთი ავტონომიური წარმონაქმნი, რომელიც რელიგიური ნიშნით იყო შექმნილი. ასე რომ, რელიგიური ნიშნით საკუთარ სამშობლოში ქართველებს საქართველოში შეუქმნეს ავტონომია. რაც შედიოდა გარეშე ძალების ინტერესებში. ამას ადასტურებს როგორც მოსკოვში რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების სპეციალური მუხლები აჭარისადმი საქართველოს სუვერენულ უფლებაზე, ისე იმავე წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულება, სადაც ფაქტობრივად დადასტურებული იქნა მოსკოვის ხელშეკრულება ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

აჭარის ავტონომიის არსებობას ზოგიერთი უარყოფითად აფასებს. არის საწინააღმდეგო აზრიც, რასაც ანგარში უნდა გაეწიოს. თუკი თავის დროზე აჭარის ავტონომიის შექმნა და არსებობა ასე თუ ისე გამართლებული იყო პოლიტიკური და რელიგიური თვალსაზრისით (თურქეთში, ირანსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანების ფაქტორის გათვალისწინებით), დღეს ეს მოტივები აჭარის ავტონომიის არსებობის გასამართლებლად აღარ გამოდგება.

შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიის ამ სახით არსებობამ თავისი თავი ამოწურა, რაზედაც უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ 1992-1996 წლებში, ახალი არჩევნების ჩატარებამდე, დათხოვნილი იყო აჭარის უზენაესი საბჭო და ამით ქვეყანა არ დაქცეულა. არაფერი შეცვლილა აჭარის უზენაესი საბჭოს 1996 წლის 21 სექტემბრის არჩევნების შემდეგაც. როგორც ადრე - გასულ ოთხ წელიწადში, ისე ახლა, აჭარა ძველებურად, ერთპიროვნულად იმართება და უზენაესი საბჭო უფრო ადრე, 1992-1996 წლებში, კი უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი. უკეთეს შემთხვევაში სტატისტის მოვალეობას ასრულებს.

საეჭვოუდებელია, რომ აჭარის ავტონომია, როგორც უძველ ისტორიული ანაქრონიზმი, ამ სახით დიდხანს ვერ იარსებებს (და თუ იარსებებს, ეს იქნება უკან სვლა საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით). აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აჭარის უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე და მის შემდეგაც ატეხილი აეიტაჟი აჭარისათვის რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებასა და აქ პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებაზე, ნიადაგის მოსინჯვა იყო, რაც ჯერჯერობით უშედეგოდ დამთავრდა (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ ინტერვიუში აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ ყოველად გაუმართლებლად მიიჩნია ერთ ქვეყანაში ერთი და იმავე ხალხის ორი რესპუბლიკა).

ჩვენის მხრივ შევნიშნავთ, რომ აჭარისადმი რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში რელიგიურობის ნიშნით ცალკე ეთნოსის ჩამოყალიბების დიდი საფრთხე შეიქმნება, რის მაგალითებიც არის (ინდოეთი და პაკისტანი, იუგოსლავია). ამის დაშვება კი არაფრით არ შეიძლება.

თუკი აჭარის ავტონომიამ თავისი თავი ამოწურა, რესპუბლიკის სტატუსი კი მოუღებელია, მაშინ გამოსავალი რაშია? ჩემი აზრით - აჭარის სამომავლო სტატუსი ისეთივე უნდა იყოს, როგორც საქართველოს სხვა მხარეების, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აჭარა გარეშე პოლიტიკური ძალების ყურადღების ცენტრშია და მის მიმართ ქვეყნის საერთო პოზიციას თვალყურს ადევნებენ საქართველოს გარეთ მცხოვრები მუსლიმანი ქართველები, აქ დიდი წინდახედულებაა საჭირო.

მართალია, აჭარის სტატუსთან დაკავშირებით აჩქარება არ შეიძლება, მაგრამ ხანგრძლივად არც ასეთ მდგომარეობაში ყოფნა შეიძლება (ოფიციალურად ქვეყნის ერ-

გაგრძელება მე-12 გვ.

ნუგზარ ფოფხაძე:

აი, სკანდალი მაშინ გენახათ, თუ ცეკას მდივანს დუბინკებით გაუმასპინძლდებოდა „მშობლიური“ მილიცია

მეოთხე გვერდიდან

და, ზოგჯერ, კუდაბზიკობის უარყოფა, სიბრძნისა და მოთმინების გამოჩენა, ასპარეზზე გამოსული ახალი საზოგადოებრივი ძალების ხელშეწყობა, მათი აქტიურობის ნორმალურ საზღვრებში მოქცევისათვის საჭირო წამახალისებელი პირობების შექმნა. და ყოველივე ეს არ უნდა ყოფილიყო ბუტაფორია. გულწრფელად, რეალისტურად, ხელიხელჩაჭიდებულებს, ერთად გვეკითხებინა ყოველი ჩვენგანისთვის უმთავრესი და უპირველესი -ქართული საქმე. ნუ მოინდომებს ვინმე, უწინარეს ჩემი მაშინდელი პარტიელი ამხანაგებიდან, თუნდაც გულწრფელად მიმტკიცოს ის, რომ იმ რეჟიმისა და იდეოლოგიური წნეხის არსებობისას ამის კეთება შეუძლებელი იყო. ძნელი-კი, მაგრამ ვისაც ამის კეთების ალალი სურვილი და მონდომება ჰქონდა, მისთვის შეუძლებელი არაფერი იყო.

მაშინ გაბატონებულმა „აკრძალვის პრინციპმა“ ცკ-ს და მთავრობას სახარბიელო ვერაფერი შესძინა, წაგებით კი, იცოცხლეთ, ბევრი რამ წაგვაგებინა, სახელიც გავიტეხეთ და თავი სასაცილო მდგომარეობაშიც ჩავიგდეთ-რაც ავკრძალეთ, მაინც მოხდა და გაკეთდა. ჩვენ კი სირაქლემას პოზიცია დავიკავეთ. ამან კი ისედაც არაპოპულარული კანონები ფარატინა ქაღალდად აქცია.

ზოგი მგლისკენ, ზოგი ცხვრისკენო, ნათქვამია. ცკ-ს ხელმძღვანელობის ამ განწყობილებას ზოგჯერ სტიმულს აძლევდა მისთვის (!) ერთობ ავტორიტეტიანი ადამიანების მხარდაჭერაც. მახსოვს, ეროვნული მოძრაობის აზვირთების პერიოდში, როცა ზოგიერთი საპროტესტო აქციის საფუძველი მართლაც იყო ცენტრის ყოვლად უგუნური გადაწყვეტილება (თუნდაც, მოკავშირე რესპუბლიკების . სსრკ-ს შემადგენლობიდან გასვლის უფლების კონსტიტუციის პროექტის ტექსტიდან ამოღება და სხვა), პატიაშვილის ერთ-ერთმა არაოფიციალურმა მრჩეველმა (რომლის დანიშვნაც ერთი ჟურნალის რედაქტორად ჩემი კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად 1988 წლის 6 აპრილს მაინც გადაწყვიტა, რომელიც შემდგომ არამარტო დიდ პატრიოტობაზე დებდა თავს, არამედ ძირფესვიანადაც და გამეტებით თხრიდა კიდეც თავის ყოფილ მფარველს), ცკ-ში გამართულ თათბირზე (1988 წლის 5 დეკემბერს) „არაფორმალთა“ 1988 წლის ნოემბრის გახმაურებული აქცია მონათლა, როგორც *„აბსოლუტურად ანტიეროვნული და დამღუპველი ჩვენი ერისთვის“*, მიიჩნია ზოგიერთი ლიდერის (მისი სიტყვებით-*„ექსტრემისტის“*) მოქმედება *„ნორმიდან გადახრად“* და ისურვა მათთან პაექრობა მხოლოდ *„იქ, სადაც მათ არ ეყოლებათ ე.წ. „შტურმოვიკები“, რომლებიც თავისი სტენითა და სხვა და სხვა, ამთავრებენ თავის საქმეს“*...

-ვინ არის ამ „პატრიოტული“ შეფასებების ავტორი?

-უკვე არა აქვს ამას პრინციპული მნიშვნელობა. იგი ამ „საქმეში“ ორიგინალური არ იყო, არც-პირველი და არც-უკანასკნელი, თანაც გარდაცვლილებთან „ბრძოლისა“ და კამათისთვის, აკი გითხარით, მე არ გამოვდგები.

უბედურება სწორედ ის არის, რომ ასეთმა განწყობილებებმაც უკმიეს საკმეველი ცკ-ს ხელმძღვანელობის აგრესიულობას. ძალისმიერი მეთოდებით და ფორმალიზმით გატაცების აპოთეოზი იყო ცენტრალურ კომიტეტში არაფორმალთა დემონსტრაციებისა და მიტინგების ხელისშემშლელი (სახელწოდება პირობითია, მაგრამ ზუსტად გამოხატავს მის არსს) „სპეციალური შტაბის“ შექმნა, რომლის წევრებიც, გარდა ცკ-ს რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკისა, ძირითადად, იყვნენ ძალისმიერი სტრუქტურების ხელმძღვანელები. ცოდვას ვერ დავიდებ თავზე და უნდა ვთქვა, რომ ეს უკანასკნელნი, შესაძლებლობისა და სუბორდინაციის ფარგლებში, ცდილობდნენ დაეოკებინათ ცკ-ს ხელმძღვანელობის „ტემპერამენტი“. ამას წინათ შევხვდი მაშინდელ ჩემს კოლეგას-ცკ-ს მდივანს გივი ანჩაბაძეს და, მისი მადლობელი ვარ, რომ გაიხსენა ის სცენაც, როცა ამ შტაბის პირველსავე შეკრებაზე, რომელზეც უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება აჭარაში არაფორმალთა დემონსტრაციის დარბევის შესახებ, არამცთუ წინააღმდეგობა გავწიე, არამედ პროტესტის ნიშნად შტაბის სხდომა დემონსტრაციულადაც მივატოვე. რა თქმა უნდა, ამის შემდეგშტაბს სათოფეზე აღარ გავკარებივარ. რამდენჯერმე აღეძარით კიდეც პირველი მდივნის წინაშე ამ შტაბის გაუქმების ან, თუ ეს შეუძლებლად მიიჩნდა, მისი „ფუნქციების“ დედაქალაქის ხელმძღვანელობისთვის ან შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გადაცემის საკითხი, მაგრამ... ნურას უკაცრავად!

-შეეძლო თუ არა ამ ე.წ. შტაბს გადაწყვეტილებების მიღება მაშინდელი ცკ-ს პირველი მდივნის თანხმობის გარეშე?

-ფორმალურად კი, პრაქტიკულად არა! ამაშია ძაღლის თავი დამარხული.

სრული შეგნებითა და პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ამ შტაბის წევრთა შეკრებაზე ვითომდა კოლექტიური განხილვის შედეგად მიღებული ყველა გადაწყვეტილება არამცთუ წინასწარ იყო შეთანხმებული ცკ-ს პირველ მდივანთან, არამედ შტაბის წევრებს აცნობდნენ ცკ-ს პირველი ხელმძღვანელების მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ისევე, როგორც დედაქალაქში ყველა მიტინგისა და დემონსტრაციის ჩატარების, ანუ სანქციონირების საკითხი წყდებოდა მხოლოდ და უშუალოდ ცკ-ს პირველი მდივნის დონეზე. ასევე, მისი უშუალო მითითებით ხდებოდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენება ამ მიტინგების და დემონსტრაციების საწინააღმდეგოდ.

აბა წარმოიდგინეთ ასეთი რამ: თბილისში ტარდება აშშ-სსრკ საზოგადოებრიობის შეხვედრა. ელიტაა ჩამოსული ჩვენთან, უამრავი ჟურნალისტი... „არაფორმალები“ აწყობენ დემონსტრაციას, რათა მიაქციონ სტუმართა ყურადღება, მათი შეხედულებით, მწვავე ეროვნულ პრობლემებს. ყველას-ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებს შეგნებული აქვთ, რომ ნებისმიერ არადემოკრატიულ ნაბიჯს მსოფლიო რეზონანსი ექნება. დემონსტრაცია მაინც დაარბიეს, აქციის ზოგიერთ მონაწილეს უმოწყალოდ სცემეს. მთელი მსოფლიო ახმაურდა. მხოლოდ მოსკოვის ცენტრალურმა გაზეთებმა და რადიო-ტელევიზიამ არ ამოიღეს ხმა. ცენტრშიც არავის გამოუთქვამს რაიმე საყვედური.

ახლა მე გეკითხებით, თუ გეგულებათ იმდროინდელი რომელიმე ხელმძღვანელი შინაგან საქმეთა სამინისტროში, რომ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე, თვითონ, დამოუკიდებლივ მიეღო გადაწყვეტილება ამ დემონსტრაციის უხეში ძალის გამოყენებით გარეკვის შესახებ? ან თუ იცით მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში პიროვნება, რომელიც გაბედავდა პირველი მდივნის გარეშე ასეთი მითითების ან თანხმობის მიცემას. პირადად მე ასეთს არ ვიცნობდი.

...ერთ დოკუმენტს გაგაცნობთ-იმდროინდელ პროკლამაციას, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, ეროვნულ-დემოკრატული პარტია:

„მიმდინარე წლის 22-29 ნოემბრის დემონსტრაცია-მიტინგების შემდეგ ხელისუფლებამ გააძლიერა ქართველ პატრიოტთა დევნა-შევიწროება. ოფიციალურ პრესაში გამოცხადდა ცნობა „მთავრობის სასახლესთან დემონსტრაცია-მიტინგების მომწყობ-ინიციატორთა ჯგუფის“ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. მას შემდეგ კი, რაც 3 დეკემბერს ქუთაისში მოეწყო 1921-24 წ.წ. მსხვერპლთა ხსოვნისა და სსრკ ახალი კონსტიტუციის მიღების საპროტესტო აქცია, ხელისუფლებამ და სამართალდაცვითმა ორგანოებმა მიმართეს ოფიციალურ ტერორისტულ ზომებს: 4 დეკემბერს დააკავეს სრულიად უდანაშაულო მოქალაქეები-თენგიზ ორჯონიკიძე, გიორგი ქემოკლიძე, გიორგი კულუმბეგაშვილი, იოსებ მამალაძე, მამუკა ბერიძე და უხეში პროვოკაციის ინსპირირაციის შემდეგ მათ მიმართ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს... ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე აჭარის მილიციამ დააკავა და მხეცურად ფიზიკურად გაუსწორდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს გია ჭანტურიას.

...მოგიწოდებთ, ა.წ. 25 დეკემბერს, დღის 12 საათზე, რუსთაველის ძეგლთან შესაკრებად, რათა გავმართოთ მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები ჩვენი ეროვნული უფლებების დასაცავად“

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტერმინოლოგიას და ზოგიერთ გადაჭარბებულ შეფასებას, ამ პროკლამაციაში მოტანილი ფაქტები და ტენდენციები სრული სიმართლეა. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი და მოწმე არსებობს.

სრული სიმართლეა ისიც და ამის დამტკიცებაც მეტისმეტად იოლი საქმეა, რომ პირადად ცკ-ს პირველი მდივნის მითითებით მოხდა დარბევები: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის აქციისა, ზ.გამსახურდიას და სხვათა მიტინგებისა აჭარაში, რუსთაველის საზოგადოების ყრილობასთან დაკავშირებული დემონსტრაციისა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის წინ ჩატარებული მანიფესტაციისა 1989 წლის 18 თებერვალს... ყველა ეს გადაწყვეტილება მიიღეს ცკ-ს იდეოლოგიური მდივნისგან მალულად. რუსთაველის საზოგადოების ყრილობის დღესთან დაკავშირებით - 180 გრადუსით საპირისპიროდ იმისა, რაზეც შეთანხმებულნი ვიყავით. ამ „გენიალურმა“ გადაწყვეტილებამ, კინაღამ, ჩაშალა დიდი წვალებით მიღწეული კომპრომისი და თვით ყრილობა.

პირადად პატიაშვილის უმწიფარი „ინიციატივის“ შედეგი იყო დაპირისპირება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან 1989 წლის 25 თებერვალს. თვითონ ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი მთავარი კომუნისტური დღესასწაულის-საქართველოს გასაბჭოების წლისთავის დღეს, როცა წინასწარ იყო ცნობილი, თუ ოპოზიცია „საჩუქრად“ რა მრავალათასიან საპროტესტო დემონსტრაციას უმზადებდა მმართველ პარტიას, მისი პირველი მდივანი თბილისს გაეცალა საქართველოში სტუმრად მყოფ სკკპ პოლიტბიუროს წევრთან ალექსანდრე იაკოვლევთან ერთად, არამცთუ „ალიბად“ ვერ გამოდგება, იგი მის პოლიტიკურ და ზნეობრივ „კეთილსინდისიერებაზე“ მეტყველებს. კაცი ეშმაკი მაშინ ხარ, როცა შენს ეშმაკობას სხვა ვერ ხვდება. თელავში სწორედ ამ დღეს იაკოვლევის გახიზნის ახსნას კი, დიდი ჭკუა განა სჭირდება? ახლა, მისმა რომელიმე გულშემატკივარმა მითხრას, დამოუკიდებელი საქართველოს მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი ასე ადრიანად და ამ გზით უთხრიდაო ძირს საბჭოთა ხელისუფლებას, თორემ, შეიძლება, თავიც მოვკლა, ჩემი მაშინდელი „სიბრიყვის“ გამო.

...შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ აწ განსვენებულმა ვ.შადურმა უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში ყოფნისას მაცნობა, რომ მიღებული აქვს ბრძანება უნივერსიტეტის ეზოდან ათასობით მომიტინგეთა გარეკვის თაობაზე. შინაგანი ჯარების სპეციდანაყოფი, სრული ეკიპირებით, მზად იყო ძალისმიერი აქციის ჩასატარებლად. ასევე, გადმომცა ცკ-ს ხელმძღვანელობის განკარგულება დაუყონებლივ დამეტოვებინა უნივერსიტეტი. უმალ დავუკავშირდი შინაგან საქმეთა მინისტრს შ.გორგოძეს, რომელმაც დამიდასტურა ვ.შადურის ინფორმაციის სავარაუდო დამდგარობა. ... გავაფრთხილე, რომ დარბევის მითითების შესრულების მომენტში, იგი პირადად იქნებოდა პასუხისმგებელი სავარაუდო ტრაგიკულ შედეგებზე. ისიც დავამატე, რომ არამცთუ დავტოვებდი უნივერსიტეტს, არამედ შტურმის შემთხვევაში, მომიტინგეებში ჩავდგებოდი. აი, სკანდალი მაშინ გენახათ, თუ ცკ-ს მდივანს დუბინკებით გაუმასპინძლდებოდა „მშობლიური“ მილიცია.

უბედურების თავიდან აცილება ამ შემთხვევაში მოხდა მხოლოდ და მხოლოდ ცკ-ს იდეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელთა მცდელობით, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ოთარ ჩერქეზიას დახმარებით, რომელთანაც ერთად „ულტიმატუმი“ წავუყენეთ ცკ-ს მეორე მდივანს ბ.ნიკოლსკის. შემდეგ, სწორედ ჩვენი ინიციატივით ვაახლეთ მას ქ-ნი მარიკა ლორთქიფანიძე და ბ-ნი ელდარ შენგელაია დაპატიმრებულ ზ.გამსახურდიას, მ.კოსტავასა და სხვა დისიდენტთა განთავისუფლების შუამდგომლობით, რომლის ტექსტი, ჩემი თხოვნით, ბ-ნმა გურამ ფანჯიკიძემ შეადგინა.

ასევე, ჩვენი თხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტროში შოთა გორგოძეს შეხვდა ბ-ნი აკაკი ბაქრაძე უნივერსიტეტის ბუნტარ-სტუდენტთა ჯგუფთან ერთად და დაარწმუნეს და ჩართეს იგი ცკ-ს ხელმძღვანელობასთან შესაბამისი მოლაპარაკების პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულის უშუალო მოწმე განლავთ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ბევრი თვალსჩინო მოღვაწე (აკად. ნ. ამაღლობელი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, პროფ. გ. თევზაძე და მრავალი სხვა.).

...არასოდეს დამავიწყდება ბ-ნ ნოდარ ნათაძის გულწრფელობა და ვაჟკაცობა მთავრობის სახლის წინ 1989 წლის 26 მარტის გამთენიისას გამართული მიტინგის მონაწილეთა ხელისუფლებასთან დაპირისპირებისას. იგი მოვიწვიეთ მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში, სადაც მოწმე გახდა იდეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელთა კამათისა ცკ-ს მეორე მდივანთან.

როცა აშკარა გახდა, რომ შინაგანი ჯარის სპეციდანაყოფმა დილის 4 საათზე მიიღო ცკ-ს ხელმძღვანელობის მითითება და დაიძრა მომიტინგეებისკენ, ცკ-ს იდეოლოგიური განყოფილების გამგე ვაჟა ლორთქიფანიძე, ჩემი დავალებით, მათ წინ გადაუდგა, მე კი იმავ წუთს დავუკავშირდი პატიაშვილს... მისი თანხმობით ოთარ ჩერქეზიასთან ერთად პირობა მივეცით ნ.ნათაძეს, რომ უახლოეს დღეებში შესრულდებოდა მომიტინგეთა ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა -გაანთავისუფლებდნენ, მათი შეხედულებით, სრულიად უკანონოდ დაპატიმრებულ ორ „არაფორმალს“. ნათაძე გვენდო და სათანადო რჩევა-წინადადებით მიმართა მომიტინგეებს. ქ-ნმა ლუიზა შაკაიაშვილმა ნათაძეს გარანტია მოსთხოვა, რაზედაც მან უპასუხა: გარანტია ჩემი სიცოცხლეაო! მე ვენდე პატიაშვილს, ჩერქეზიას და ფოფხაძეს და თუ მათ პირობა არ შეასრულეს, უნივერსიტეტის ბაღში შუბლში ტყვიას ვიშვლიპავო! (ეს მისი ფრაზაა.). მე გამაკრჭოლა...

მიტინგი შეწყდა. პოლიტიკური ვითარება განიმუხტა-ორ-სამ საათში დაიწყო სსრკ სახალხო დეპუტატთა არჩევნები.

ჩვენც-ჩერქეზია და მე, ბიუროს სხვა წევრებთან ერთად, ცკ-ს პირველ მდივანთან ოპერატიულ თათბირზე გამოვცხადდით. მოვახსენეთ ყოველივე. მე, რა თქმა უნდა, ნათაძის გამოსვლის შესახებაც მოვკვეთ და მოვითხოვე ცკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობის სახელით მიცემული პირობის შესრულება. პასუხიც მივიღე, „ვაჟკაცური“, ერთობ „ზნეობრივი“: ვინც დაპირდა, იმანვე გამოუშვასო!

და ამის შემდეგ ვიღაცას უკვირს, რომ თანხმობა არ იყო ე.წ. გუნდში? ნუთუ კიდევ არის რომელიმე ფაქტის დამატება საჭირო, რომ ნათელი და საბოლოო იყოს პასუხი შეკითხვაზე, თუ რატომ და რაზე იყო უთანხმოება ჩვენს „გუნდში“?!.

ესაშარა
გუბაზ მეგრელიძე

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ენას გვგლეჯდნენ...

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ლიგა ჰრეგისა. 1978 წლის 11 აპრილი. ჰრეგის თავმჯდომარე – ნ.ლუშაძე

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №4,5

თავმჯდომარე – სიტყვას ვაძლევთ გ.ნატროშვილს

გ.ნატროშვილი – ამხანაგებო, როგორც მომხსენებელმა, ისე გამოსულმა ორატორმა თქვენ უკვე მოგახსენათ, თუ რანაირი ერთსულოვნებით მიიღო ჩვენმა პრეზიდიუმმა ის წინადადება, რომელიც თქვენ აქ წაგიკითხათ გრაბაშიძემ და რომელიც ერთგვარად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას.

საქმე იმაშია, რომ ჩვენ გვითხრეს, ფაქტიურად რაც სწერია საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, რომელიც მივიღეთ შარშან, ის შეიძლება ჩაიწეროს აქაც. ამიტომაც ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ძალიან ყურადღებით მოგვისმინეს და გვითხრეს, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა მიღებული იქნეს ეს წინადადება.

მომხსენებელმა უკვე ილაპარაკა აქ ამაზე და თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ კონსტიტუციას, ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. ახლა რომ დავიწყოთ, რა არის ქართველი ხალხისათვის ქართული ენა, ამის შესახებ მსჯელობა შეიძლება დაუსრულებლად იმიტომ, რომ ქართველ ხალხს თავის ენაზე უკეთესი და ძვირფასი არაფერი აქვს. მთელი ისტორია ამ უკანასკნელი საუკუნისა და არა მარტო მე-20, არამედ მე-19 საუკუნე იყო ბრძოლა ქართული ენისათვის. თვით დიდ სამამულო ომში ნახევარი მილიონი ქართველი ხალხი დაიღუპა სამშობლოსათვის და ამ სამშობლოში იგულისხმებოდა ქართული ენა. ამიტომ ასეთი გულისყურით, მზრუნველობით მოკიდა ჩვენი ხელმძღვანელობა ამ ენის საკითხს.

თუმცა რ.ჯაფარიძე აქ უკვე მოგიყვათ, მაგრამ მეც მინდა შეგახსენოთ ეს პუნქტი, თუ რამდენად დასაბუთებულია და მიზანშეწონილია ჩვენი ეს წინადადება. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 116-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „საბჭოთა კავშირის კანონები, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკის ენებზე.“ ე.ი. კონსტიტუციამ უკვე დაადასტურა. არაფერი არ არის ჩვენს მოთხოვნაში ისეთი, რომელიც ახალი იყოს. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ დაადასტურა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ენები არსებობს და აქაც უნდა ჩაიწეროთ. აქ რომ ჩაიწერთ, მაშინ გასაგები გახდება, რომ ეს არის სახელმწიფო ენა, ჩვენი რესპუბლიკის ენა და ამით დადასტურებული იქნება ფაქტიური მდგომარეობა.

და მარტო ეს მუხლი კი არ უჭერს მხარს ამ დებულებას, ასევე 159-ე პუნქტი – „სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკების ენებზე“ და კიდევ დანარჩენი. აქ რომ არის დედა ენა და სხვა პუნქტი, ასევე კონსტიტუციის მესამე პუნქტი „მოკავშირე რესპუბლიკის ენაზე“. ერთი სიტყვით, 4 ადგილას არის ეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში. ფაქტიურად, საბჭოთა კავშირის ეს კონსტიტუცია, რომელიც ჩვენ შარშან მივიღეთ, ფაქტიურად ადასტურებს ჩვენს ამ სამართლიან მოთხოვნას.

სხვა მხრივ, ამხანაგებო, ეს კონსტიტუცია დიდი მნიშვნელობის დოკუმენტია იმიტომ, რომ აქ არის აღბეჭდილი საბჭოთა მოქალაქის დიდი უფლება-მოვალეობანი, უფრო მეტი უფლება-მოვალეობა, ვიდრე წინა კონსტიტუციაში იყო. აქ არის რესპუბლიკის უფლებების გაფართოება ან ამინისტიის უფლება და კიდევ სხვა.

მე მგონია, ყველასათვის ერთსულოვანი იქნება ეს გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მივიღეთ პრეზიდიუმის სხდომაზე გუშინ,

აი ეს მინდოდა მომეხსენებინა (ტაში).

თავმჯდომარე – სიტყვა ეძლევა ელ.მაღრაძეს.

ელ.მაღრაძე – გუშინდელი პრეზიდიუმის სხდომის დღეს გამოსული მომხსენებლის ძალიან შინაარსიანი მოხსენების შემდეგ, პრეზიდიუმზე ჩვენი შეთანხმებისა და იმ ერთსულოვნების შემდეგ ცოტა ძნელია გაიმეორო, რაზედაც გუშინ შევთანხმდით და რა წინადადებითაც წარეუდექით ხელმძღვანელობას, თითქმის გამეორება იქნება (ხმა- გამეორება ცოდნის დედაა). დიახ, და შეიძლება გავიმეორო ზოგი რამ, რაც რ.ჯაფარიძემ მოგახსენათ, ბატონმა გიორგიმ მოგახსენათ, მაგრამ ამ გამეორებას ადბათ ვერ ავცდებით.

მოგეხსენებათ, ყველას კარგად, რომ კონსტიტუცია არის... (კითხულობს).

მოგეხსენებათ კონსტიტუცია არის ფიქსირება იმისა, რაც მიღწეულია, რაც გაკეთებულია. კონსტიტუცია არის ასახვა იმ სინამდვილისა. რაც უკვე სახეზეა, ამდენად ყოველივე, რაზეც ვისაუბრებთ ახლა, აქედან უნდა გამომდინარეობდეს. რამდენიმე დღეა, რაც ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი პრესაში გამოქვეყნდა, იგი გაწოიცა ცალკე წიგნადაც და დაიწყო პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. განხილვაში მონაწილეობენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, სტუდენტები, მოსწავლეები. ასეთი განხილვა კონსტიტუციის პროექტისა ხაზს უსვამს საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა საზოგადოებრივი წყობის უაღრესად დემოკრატიულ ხასიათს. როგორც აუცილებელი და მოსალოდნელი იყო, ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუცია საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზეა შედგენილი და ავსებს მას იმ ნაწილში, რაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია სწორედ ამ ნაწილით განსხვავდება საერთო საკავშირო კონსტიტუციიდან. ამ ეროვნულ განსხვავებათა შესახებ კი საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი და ჩვენი კომუნისტური პარტიის შემქმნელი დიდი ლენინი წერდა:

„სანამ არსებობენ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის – ხოლო ეს განსხვავებანი კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი – ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას (ეს სულელური ოცნებაა ახლანდელი მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს კერძო შემთხვევაში, სწორად შეუხამებდა, შეუფარდებდა მათ ეროვნულ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებას“.

ვ.ი. ლენინი „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“ თხზ. ტომი 31, გვ. 97-98.

ამხანაგებო!

რომელ თქვენგანს უფრო ძლიერად უყვარს თავისი ქვეყანა და ხალხი, ამის გაზომვა, კარგად იცით, რომ არ შეიძლება. წნეების საზომი არსებობს, სიცხის საზომი არსებობს, მაგრამ მეცნიერებას ჯერ არ შეუქმნია სიყვარულისა და ჭკუის საზომი. ამიტომ თითოეულ ჩვენგანს უფლება აქვს პრეტენზია ჰქონდეს და უცილობლობდეს, მე უფრო ძლიერ მიყვარს ჩემი ენა, სამშობლო და ხალხი. მაგრამ, საკითხავი ისაა, ასეთ დროს გამომკითხავი და მოსამართლე ვინ იქნება? როცა ქართული ენის შეუზღუდველ ან შეზღუდულ უფლებებზე საუბარი გესურს, ისიც უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ ამჟამად ამ ენაზე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მეტყველებს და წერს 3 მილიონზე მეტი კაცი, რომ ამ ენაზე იბეჭდება რამდენიმე ათეული ჟურნალი და გაზეთი, რომ ამ ენაზე ისტამბება მილიონობით წიგნი, ამ ენაზე სწავლობს ასიათასობით მოსწავლე, ამ ენაზე მეცნიერებას ეუფლება ათასობით სტუდენტი, ამ ენაზე გამოსაცემად ამ ბოლო წლებში დაგეგმატა რამდენიმე ჟურნალი, ამ ენაზე გამომავალ ლიტერატურულ გაზეთს საგრძნობლად გაეზარდა პონორარი, საერთოდ გაიზარდა საშუალო ჰონორარი ჩვენს რესპუბლიკაში გამომავალი ლიტერატურულ-მხატვრული ქმნილებებისა, ამის გვერდის ავლა არ შეიძლება. ამ გზებითა და საშუალებებით ქართული ენა ვითარდება და სრულყოფილი ხდება.

ვისაც ეროვნული თვითმყოფობის, რუსული ენის, მრავალეროვნულობისა და ინტერნაციონალიზმის საკითხები აინტერესებს, მან კარგად იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკა ამჟამად მრავალეროვნულია, სადაც 80-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. 1970 წლის აღწერის მონაცემებით აქ 4686 ათასი კაცი სახლობს. მათ შორის 3131 ათასი ქართველი, მთელი მოსახლეობის 67%, 159,0 ოსი (3,2%), 79 ათასი აფხაზი (1,7%), 4452,0 სომეხი (9,7%), 397,1 რუსი (8,5%), 218,0 აზერბაიჯანელი (4,96%), 89,0 ბერძენი (1,9%), 21,0 ქურთი (0,4%), სხვა ეროვნებანი 44,0 – მთელი მოსახლეობის 0,9%. ანა, რა ენაზე უნდა ელაპარაკო ამ ხალხს, თუ არა რუსულ ენაზე, თუ ენა ურთიერთობის და ურთიერთგაგების საშუალებაა. ჯერ აქ, თვითონ ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენს მკვიდრ მამულში, რუსული ენის გარეშე ძნელი გახდა ცხოვრება და ურთიერთობა, აღარას ვამბობ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ურთიერთობებზე.

მოსახლეობის მრავალეროვნულობის ზრდის კვალობაზე ქართველების ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში ოდნავ შემცირდა, მაგრამ ამასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლების დროს ქართველთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუ, მაგალითად, 1926 წლის აღწერით საქართველოში მცხოვრები 2677 ათასი კაციდან 1788 ათასი ქართველი იყო, 1970 წელს ქართული მოსახლეობის რიცხვმა 3131 ათასს მიაღწია, თითქმის ორჯერ გაიზარდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის დინამიკისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, ეროვნული კონსოლიდაციის განმტკიცების ტენდენცია და, მეორე მხრივ, მოსახლეობის ინტერნაციონალიზაციის ზრდის ტენდენცია.

ეროვნული კონსოლიდაციის ზრდის ტენდენცია ქართველი სოციალისტური ერის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერებაა. ქართველთა რიცხვი, როგორც აღვნიშნე, 1926-70 წლებში ერთიორად გაიზარდა.

მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები გამოწვეულია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების ბუნებრივ სიმდიდრეთა ინტენსიური ათვისებით, სახალხო მეურნეობის განვითარების მაღალი ტემპებით, მიგრაციული პროცესების გაძლიერებით და ყოველივე ამის შედეგად სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა დიდი მოზიდვითა და შერევით ადგილობრივ მოსახლეობასთან.

მიზანი, რომლის მიღწევაც კპ-ს აქვს დასახული, შეუძლებელია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე, მაგრამ, გარდა ამ ბაზისა, ამაში მნიშვნელოვან აღწევად საჭირია ადამიანთა კულტურა, განათლების, საზოგადოებრივი შეგნების, შინაგანი სიმწიფის მაღალი დონე.

სოციალისტური კულტურის განვითარების პროცესში მოქმედებს ორი ურთიერთდაკავშირებული ტენდენცია: ერთი მხრივ, მიმდინარეობს ეროვნული კულტურის ყოველმხრივი განვითარება და აყვავება, მეორე მხრივ, ძლიერდება მათი ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების ტენდენცია. ეროვნული კულტურების აღორძინება და ურთიერთგამდიდრება სოციალისტური ერების ყოველმხრივი განვითარებისა და შემდგომი დაახლოების საერთო პროცესის ნაწილია. ამ პროცესის განხორციელებისას პარტია იმას ემყარება, რომ ეროვნულ თავისებურებათა, განსაკუთრებით კი ენობრივ განსხვავებათა წაშლა მნიშვნელოვნად უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე კლასობრივი საზღვრების წაშლა.



სოციალისტური კულტურების განვითარება მიმდინარეობს ეროვნული ენის ბაზაზე. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამასთან უნდა ხაზგასმით დაეძინო, რომ ეროვნული ენების აღორძინებასთან ერთად იზრდება რუსული ენის საზოგადოებრივი ფუნქცია. მოძმე ერებისა და ხალხების მიერ რუსული ენის შესწავლა სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს. სწორედ ამ ენის მეშვეობით ხდება შესაძლებელი საბჭოთა ხალხებისა და მსოფლიო კულტურის მიღწევათა გაცნობა. რუსული ენა ჩაწერილია სკკპ პროგრამაში, ფაქტიურად გახდა საეროვნებათაშორისო ურთიერთობისა და სსრ კავშირის ყველა ხალხის თანამშრომლობის საერთო ენა.

1970 წ. რუსული ენა დედაენად დაასახელა 141,8 მილიონმა კაცმა. მათ შორის 128 მილიონმა რუსმა და სხვა ეროვნების 13 მილიონმა კაცმა. რუსულ ენას საკუთარი განცხადების მიხედვით თავისუფლად ფლობს ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის 21,3% ე.ი. დაახლოებით ერთი მილიონი კაცი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ მეხუთე მცხოვრებს შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ეს ენა, როგორც საეროვნებათაშორისო ენა.

რუსული ენის, როგორც საეროვნებათაშორისო ენის, მოქმედების სფეროს ზრდა სრულიადაც არ უშლის ხელს ეროვნული ენების თავისუფალ განვითარებას.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 116-ე მუხლზე:

მუხლი 116.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები ქვეყნდება მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე და მათ ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მდივანი.

მინდა შეგახსენოთ 159-ე მუხლის შინაარსი:

მუხლი 159.

სამართალწარმოება მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის ენაზე, ან მოცემული ადგილის მოსახლეო-

გაგრძელება მე-10 გვ.

მეცხრე გვერდიდან

ბის უმრავლესობის ენაზე საქმის მონაწილე პირებისათვის, რომლებმაც არ იციან მიმდინარე სამართალწარმოების ენა, უზრუნველყოფილია თარგმნის მეშვეობით საქმის მასალების სრული გაცნობისა და სასამართლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება, სასამართლოში დედაენაზე გამოსვლის უფლება.

ეხლა კი ნება მომეცით 169-ე მუხლიც წაგიკითხოთ.

მუხლი 169.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბი წარმადგენს ნამგლისა და უროს გამოსახულებას მზის სხივებით გაცისკროვნებული დედამიწის ფონზე, გარშემოვლებულია თავთავებით და მოკავშირე რესპუბლიკების ენებზე აწერია: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გერბის ზედა ნაწილში ხუთქიმიანი ვარსკვლავია.

ყველა ამ მუხლში ლაპარაკია მოკავშირე რესპუბლიკის ენებზე. რადა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან სსრკ კონსტიტუცია ასახავს იმ რეალობას, იმ სინამდვილეს, რაც ცხოვრებაში არსებობს. აქედან გამომდინარე, მინდა ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის 75-მუხლის ჩემეული წაკითხვა შემოგთავაზოთ. ვერ წაგიკითხავთ, როგორც ამ მუხლის წაკითხვას ითვალისწინებს პროექტი.

მუხლი 75. საქართველოს სსრ რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველი ლონისძიებით განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში რუსული, აგრეთვე სხვა ენების თავისუფალი ხმარება, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

რამე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.

ახლა მინდა გაგაცნოთ ჩასწორებული წაკითხვა:

საქართველოს სსრ რესპუბლიკის ენა ქართული ენაა. საქართველოს სსრ რესპუბლიკა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საქმის წარმოებას წარმართავს ქართულ ენაზე და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველი ლონისძიებით განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში თავისუფალი ხმარება რუსული და აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.

ჩემი ღრმა რწმენითა და აზრით, თუ ასეთი ჩასწორება არ იქნება მიღებული და გაზიარებული, მაშინ 75-ე მუხლი საქართველოს კონსტიტუციის პროექტიდან საერთოდ უნდა იქნას ამოღებული, რადგან, ჯერ ერთი, ასეთი მუხლი არ არის შეტანილი არცერთი მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში და მეორეც, 75-ე მუხლის შინაარსში გათვალისწინებული უფლებანი ძალზე მკაფიოდაა ჩაწერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის იმ ნაწილში, რომელშიც გადმოცემულია პარტიის ამოცანები ეროვნული ურთიერთობის დარგში.

პარტიამ შემდეგშიც უზრუნველყოს სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარება, სსრ კავშირის თითოეული მოქალაქისათვის სრული თავისუფლება ილაპარაკოს, აღზარდოს და ასწავლოს თავის შვილებს ყოველ ენაზე, არ დაუშვას არავითარი პრივილეგიები, შეზღუდვა ან იძულება ამ თუ იმ ენის ხმარებაში. ხალხების ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე.

ასე რომ, სსრ კავშირის ხალხთა ენების და მათ შორის ქართული ენის განვითარების გარანტიას თვითონ ჩვენი კომუნისტური პარტიის პროგრამა იძლევა და ერთხელ კიდევ ვიმეორებ, თუ 75-ე მუხლი ჩასწორებული იქნა მითითებით, რომ რესპუბლიკის ენა ქართული ენაა, მაშინ აჯობებს ასეთი მუხლი სრულიად ამოვიღოთ კონსტიტუციის კოდექსიდან. (ტაში).

გაგრძელება იქნება

უბედურება ბერიტერიუს „გაჩუქებით“ დაიწყო

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №5

ორჯონიკიძე შემდეგშიც არაერთხელ იმეორებდა ამ აზრს. ეს იყო სხვისი ტერიტორიების მიტაცების თავისებური წახალისება, თვითნებური მოქმედების დაკანონება, კაპიტალიზმთან შედარებით სოციალიზმის უპირატესობით თამაში. „თუ ცარიზმის დროს გლეხებს ასეთი უფლება ჰქონდათ, განა კომუნისტებმა მათ მეტი არ უნდა მიეცეთო?“ – ამ ფორმულით აპერირება ტერიტორიის საკითხის სამართლიან გადაწყვეტას ვერ უზრუნველყოფდა, პირიქით, დაძაბულობას გააშწავებდა. აკი გაამწვავა კიდეც.

მოგვყავს პრობლემის გაიოლებული გადაწყვეტის სხვა მაგალითი. „გაზაფხულზე, – ამბობდა ორჯონიკიძე, – ზაქათალის გლეხები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქენი, სასაზღვრო ხელისუფალთა ყოველგვარი ნებართვის გარეშე გამოდიან საქართველოს რესპუბლიკის საზღვარს და ხნავენ თავიანთ მინდვრებს. ასევე ხდება კახეთის რაიონში საქართველოს საზღვარზეაზერბაიჯანის საზღვისპირა სოფლებს საძოვრები და სახნავ-სათესი საზღვრის გარეთ – საქართველოში აქვთ. ისინი აქ ხნავენ, აქ მკიან, აქვე იზამთრებენ. ასეთსავე მდგომარეობაშია ტყეებიც- გამოირკვა, რომ მთელი ტყე, რომლითაც წინათ კახელი გლეხები სარგებლობდნენ, დღეს (იგულისხმება 1923 წ. ტკ.) სომხეთის ფარგლებშია...“ (იქვე, გვ. 367).

მკითხველი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას გამოთქმებს: „ნებართვის გარეშე“ სხვის ტერიტორიაზე „ხნავენ თავიანთ მინდვრებს“, „საძოვრები და სახნავ-სათესი საზღვარის გარეთ – საქართველოში აქვთ“. რა არის ეს? უნებლიეთ წამოცდენილი სიტყვები თუ გამიზნული პოლიტიკა. ყველი ინტერნაციონალიზმისათვის ეროვნული ინტერესების შეწირვა? უდაოდ იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ ყოველივე ეს ისეთ ტონშია ნათქვამი, რომ უნდა დაკანონებულიყო ძველი, ცარიზმისდროინდელი ყოვლად გაუმართლებელი პრაქტიკა. ასეთი მეთოდებით სურდათ გადაეწყვიტათ ერთაშორისი ურთიერთობა ამიერკავკასიაში. სინამდვილეში ამ პოლიტიკამ დიდი სირთულეები შექმნა. გახშირდა სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ცალკეული ადამიანებისა და მთელი ჯგუფების საქართველოში დასახლების კონტროლს დაუქვემდებარებელი შემთხვევები. ამას მოჰყვა აღმოსავლეთ საქართველოში არაქართველთა რიცხვის ზრდა. თვით თბილისში ქართველთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლები იყო. მ.ორახელაშვილის გამოთქმით – „ვილაცამ ტომარაში შეაგროვა უამრავი ეროვნება და ამ ტერიტორიაზე გადმოყარა“ (იქვე, 329). მართლაც, შეიქმნა უაღრესად რთული მდგომარეობა. ერებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება მოითხოვდა მოქნილ მუშაობას, პირველ რიგში ეროვნული ინტერესების დაცვას, თანამშრომლობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებას, მაგრამ მოუქნელი მუშაობა, ქართველი ერის ინტერესების შებღალვა, კელავ გრძელდებოდა. ნებისმიერი საკითხის, კერძოდ, საგარეო ვაჭრობისა თუ ტერიტორიების, საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმების საკითხთან წამოჭრილ კამათს, მსჯელობასა თუ აზრთა სხვაობას, როგორც წესი, ეძლეოდა ნაციონალიზმის კვალიფიკაცია. ამას მოჰყვა უხეში დარღვევები და დამახინჯებანი, დიდი მსხვერპლი.

ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ ამიერკავკასიაში კონფლიქტებს არ ეძლეოდა სწორი შეფასება. ავიღოთ თუნდაც ყარაბახსა და ზანგეზურში დატრიალებული ხოცვა-ულეტის გაუგონარი ფაქტის შეფასება. სორჯონიკიძე ამბობდა: „ის შეტაკებანი, ის ხოცვა-ულეტა, რასაც ყარაბახსა და ზანგეზურში სომხებსა და მუსულმანებს შორის ჰქონდა ადგილი, უმთავრესად დამოკიდებული იყო იმაზე, რომ დაშნაკებმა სომხეთს ჩინური კედელი, მესაზღვრეთა კორდონები შემოაელეს და მუსულმან მოსახლეობას საძოვრებზე არ უშვებდნენ: „უსაძოვროდ ამ მუსულმან გლეხებს არსებობა არ შეეძლოთ, და სწორედ ეს იწვევდა ამ ხოცვა-ულეტას და შეტაკებას“ (იქვე, გვ. 335). ამავე „არგუმენტს“ იმეორებს იგი „პრავდაში“ 1923 წლის 12 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში – „ჩვენი ეროვნული პოლიტიკა ამიერკავკასიაში“, რომელშიც ვკითხულობთ: „იმ გარემოებამ, რომ დაშნაკებმა აზერბაიჯანელ გლეხებს სომხეთის მთებში საძოვრების მიცემაზე უარი უთხრეს, 1919-1920 წწ. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ომი გამოიწვია, ამასთან ომი გადაიქცა სომხების საყოველთაო ხოცვა-ულეტად აზერბაიჯანში და აზერბაიჯანელებისა სომხეთში. მთელი რაიონები მოსპეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: სოფლები და ქალაქები დაანგრიეს და გადაწვეს, მოსახლეობა გაწყვიტეს“ (იქვე, გვ. 365).

ხალხთა ხოცვა-ულეტის ამ მოტივებით ახსნა, რბილად რომ ვთქვათ, დაუშვებელია. მას გაცილებით უფრო ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და საზღვრების ხელოვნური გადანაწილება მხოლოდ შინაგანად ძაბავდა და ამძაფრებდა პრობლემებს, გადაჰქონდა იგი მომავლის საზრუნავად და საფიქრალად. ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ამიერკავკასიის დღევანდელმა ამბებმა. მთავარი მაინც ის იყო, რომ ერთაშორის შუღლის გაღვივებისა და ხოცვა-ულეტის ორგანიზატორები დაუსჯელნი რჩებოდნენ. სწორედ მაშინ დამკვიდრდა განუკითხაობა-დაუსჯელობის ატმოსფერო. ეს „ტრადიცია“ უაღრესად გამძლე გამოდგა. ეროვნული შუღლის ბევრი გამჩაღებელი დღესაც თავმომწონედ და ამაყად დაიარება ქართულ მიწაზე.

ისტორიული სინამდვილისა და კანონების დარღვევით, ზემოდან განკარგულების გაცემით, საზღვრების დადგენა გაუგებრობაზე იყო აგებული. პარადოქსალურად ჟღერს აგრეთვე ამ მოქმედების ჩათვლა ეროვნული პრობლემის გადაწყვეტად, როგორადაც მას მიიჩნევდნენ მაშინ. ამით შეიძლება აიხსნას კავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე (1921 წლის აგვისტო) ორჯონიკიძის მიერ დიდი პათოსით გაკეთებული განცხადება: ამიერკავკასიის „...რესპუბლიკებში საბჭოთა წყობილების დამყარებამ ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო ამ საზიზღარ პოლიტიკას“ (იქვე, გვ. 249). ე.ი. ბოლო მოუღო მტრობის პოლიტიკასო. ამას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოჰყვა ისტორიული წარსულის უგულებელყოფა. 1921 წელს „ბოლო მოეღო მტრობასო“ – როგორ სარკაზმულად ჟღერს ეს სიტყვები დღეს.

შემთხვევითი როდი იყო, რომ მაშინ აზერბაიჯანის ხელისუფალთა მიერ დაით გარეჯის ისტორიული მნიშვნელობის კომპლექსის ხელში ჩაგდებასაც საძოვრების უკმარისობით ხსნიდნენ. კომპლექსთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია საქართველოს სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა განყოფილების გამგის კაკაბაძის მიერ 1924 წლის 4 დეკემბერს რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის სახელზე შედგენილი მეტად საინტერესო მოხსენება, რომელშიც მოთხრობილია დაით გარეჯის კომპლექსის მიტაცებისა და მის ასაოხრებლად აზერბაიჯანელი მწყემსების აღმაშფოთებელი მოქმედების შესახებ. კომპლექსის ნაწილი (დაით გარეჯის მონასტერი, ბერთუბანი, დაით გარეჯთან მდებარე კოშკი და სხვ.) აზერბაიჯანის საზღვრებში „აღმოჩნდა“ საქართველოს სუვერენიტეტის სრული დარღვევით. 1925 წლის 26 ოქტომბერს ეს არაორაზროვნად დააფიქსირა ამიერკავკასიის ფედერაციის ცაკ-ის დაით გარეჯის კომისიამ, რომელმაც სპეციალურ აქტში ჩაწერა, რომ გარეჯის მთლიანი კომპლექსი 1921 წლამდე საქართველოსი იყო, მასვე ეკუთვნოდა აგრეთვე ძეგლების მიმდებარე ტერიტორია – 8682 დესეტინა მიწა (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქიეი ფ.288, ს. 122, ფურც. 70-71), სხვა დოკუმენტით 5064 დესეტინა ფართობი (იქვე, ფურც. 88.) ყველაფერი ეს საქართველოს უნდა დაბრუნებოდა, რაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა ამიერკავკასიის ცაკ-ის საზღვრების კომისიის 1924 წლის 20 ნოემბრის დადგენილებას, რომლის მიხედვით ყარაიაზის ველი აზერბაიჯანის ტერიტორიად გამოცხადდა. ამით დადასტურდა საზღვრების შერეული კომისიის 1921 წლის 8 ნოემბრისა და 1922 წლის 28 იანვარს მიღებული დადგენილება, რომელიც აზერბაიჯანის მიერ საქართველოს ამ ტერიტორიის ფაქტიურ მიტაცებას აკანონებდა. საქართველოს არაერთ კანონიერ მოთხოვნას, დაებრუნებინათ მისი ტერიტორიები, უგულებელყოფდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ.

ნიშანდობლივია, კომისიის 1924 წლის 20 ნოემბრის სხდომის დადგენილების მეორე მუხლი, რომლის მიხედვით შირაქის სადაო ტერიტორიის გამოკვლევის მიზანი უნდა ყოფილიყო საძოვრებით აზერბაიჯანში მეცხოველეობის განვითარების მოთხოვნების დაკმაყოფილება და ამ მიზნით საზღვრების შეცვლა, ტერიტორიების მიმართ მოსახლეობის ეკონომიკური ლტოლვის დაკმაყოფილება. ოთხიოდე დღის შემდეგ 24 ნოემბერს ეს დადგენილება დაამტკიცა ამიერკავკასიის (ცაკ-ის პრეზიდიუმმა მისი თავმჯდომარის მიხა ცხაკაიას და მდივნის შემცვლელის სიაკუბოვის ხელმოწერით (იქვე, ფურც. 72).

ამიერკავკასიის ფედერაციის მაშინდელ ხელმძღვანელობას ასე გამარტივებულად ჰქონდა წარმოდგენილი საზღვრების გადანაწილების ურთულესი პრობლემა. იგი დაჰყავდათ მხოლოდ საძოვრებისა და ეკონომიკის საკითხების მოგვარებამდე და „მხედველობიდან რჩებოდათ“ მისი სასიცოცხლო მნიშვნელობა, პრობლემის პოლიტიკური და ეროვნული ასპექტი, ხალხებს შორის ნდობის მყარი საფუძვლის შექმნისა მნიშვნელობა. არცერთი თვალსაზრისით მსგავს მოქმედებას გამართლება არ ჰქონდა. სწორედ ამიტომ დამკვიდრდა სრული განუკითხაობა, ფეხქვეშ ითელებოდა საქართველოს სუვერენიტეტი, მისი ეროვნული ინტერესები. ამით ისარგებლეს აზერბაიჯანელმა მწყემსებმა და ბრძნული გამოთქმისა არ იყოს, დაით გარეჯში „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესია“. უნიკალური ისტორიული ძეგლები პირუტყვის სადგომად იქცა. წაბილწეს, დააზიანეს და გაანადგურეს ხელოვნების უძველესი ნიმუშები. სისტემატური ყაჩაღური თავდასხმების გამო ბერები იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ მონასტრები. დაით გარეჯის მთელ კომპლექსს ფაქტიურად აზერბაიჯანი დაეპატრონა. ასე გათელეს ფეხქვეშ საქართველოს ინტერესები, ჩამოაჭრეს ტერიტორია, მიიტაცეს ისტორიული ძეგლები. კვლავ, მერამდენედ დაკმაყოფილდა აზერბაიჯანის უკანონო მოთხოვნები.

არქივის იმავე საქმეში დაცული ერთერთი მეტად საინტერესო დოკუმენტის მიხედვით ისტორიულ წარსულში ყარაიაზისა და ქერანჩაღის 80 ათასი დესეტინა საძოვრები ჯერ კიდევ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ – საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის 1884 წლის 19 ივნისს დადებული ხელშეკრულებით საქართველოს დაუბრუნდა (იქვე, ფურც.54). დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ ადრეც ეს ტერიტორია საქართველოსი ყოფილა. ახლა ძნელია განსჯა, ისტორიულად ვის ეკუთვნოდა იგი, ყოველ შემთხვევაში, ერთი კი ცხადია, საქართველოს მიმართ აზერბაიჯანისა და ნებისმიერი სხვა რესპუბლიკის პრეტენზიებს, როგორც წესი, აკმაყოფილებდნენ, საქართველოს სამართლიანი მოთხოვნების მიმართ კი მუდამ გულცივნი იყვნენ.

კოტე ტოტოჩავა
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, პოლიტიკურ
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

გაგრძელება იქნება

● მეცნიერება

მცხეთის სტელა-ჯვრის კვარცხლბეკის წარწერა და მისი თეოლოგიური შინაარსი



ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდ ინტერესს იწვევს მცხეთის ჯვრის პოსტამენტის წარწერა, რაც VI-VII სს-ის მიჯნით თარიღდება და წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ლაპიდარულ მოსახსენებელს, უადრესად მნიშვნელოვანს მრავალი ასპექტით.

ტექსტობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემურია წარწერის ბოლო მონაკვეთი, რაც შემორჩენილი სახით ასე იკითხება (მოგვაქვს ქარაგმების გახსნით):

„[ესე ჯუარი ქრისტჱსი აღხემართა...]

ყოელისა [...] ლისა მცველადჲ“.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ რა სიტყვის დაბოლოება უნდა იყოს ფრაგმენტულად მოღწეული „[...] ლისა“. თვით ძეგლი მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ დაზიანებულ ადგილას აღდგენილ იქნეს ორი ან სამი ასო (ზემორე სტრიქონების შესაბამისი მონაკვეთები სწორედ ორი ან სამი ასოს მოცულობით განისაზღვრება), თანაც საქმე უნდა გვქონდეს დაქარაგმებულ სიტყვასთან, რადგან ქარაგმის ნიშანი შემორჩენილია.

გამოთქმულია სამი მოსაზრება, რომელთა მიხედვით დაზიანებულ ადგილას უნდა იკითხებოდეს ან „[სახ]ლისა“, ან „[მომავა]ლისა“ ან „[ქართ]ლისა“ (აღნიშნული წარწერისა და მითითებული წაკითხვების შესახებ შეჯამებულად იხ.ლაპიდარული წარწერები, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ.შოშიაშვილმა, თბ.1980, გვ. 95-97).

პირველი ორი წაკითხვა („სახლისა“ და „მომავალისა“) სპეციალურად გააანალიზა და სავსებით არგუმენტირებულად უარყო ზ.ალექსიძემ. მანვე შემოგვთავაზა წაკითხვა „ქართლისა“. უკანასკნელ ხანს პატივცემულმა მკვლევარმა აღნიშნულ საკითხს საყურადღებო მოხსენებაც მიუძღვნა კ.კეკელიძის ხახელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე (1996 წ.). ზ.ალექსიძის უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „ქართლის მოქცევაში“ მცხეთის ჯვრის აღმართების თხრობასთან დაკავშირებით (და სხვა კონტექსტშიც) გეხვდება გამოთქმა „ყოველი ქართლი“.

ვფიქრობთ, ზემორე წარწერა სხვაგვარ აღდგენას საჭიროებს. თუ ეორწმუნებთ, რომ წარწერის შემქმნელი აცნობიერებდა კიდეც, რა სიწმინდე იყო მცხეთის ჯვარი და რა ნიშთმოსილების ნიეთს უკეთებდა იგი წარწერას, მაშინ, ჩვენი აზრით, ხელთ გვექნება ის ორიენტირი, რამაც დაზიანებული ადგილის აღდგენასთან უნდა მიგვიყვანოს.

საყურადღებოა, რომ დაზიანებულ ადგილას უწყებულია მცხეთის ჯვრის *დამცველობითი ძალის* შესახებ. შეუძლებელია ამ მხრივ ეჭვადდება არ მივაქციოთ იმას, რომ თუმცა „ქართლის მოქცევაში“ მცხეთის ჯვართან დაკავშირებით იხსენიება „ყოველი ქართლი“, „ყოველი სომხეთი ერისაი“, „ყოველი ქალაქ“, „ყოველი ერი“, მაინც არსად არცერთხელ არ არის აღნიშნული, რომ ხსენებული ჯვარი საკუთრივ „ყოველი ქართლის“ მცველია, ეს მცხეთის ჯვრის მადლმოსილება არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ საქართველოთი ან მცხეთით. პირიქით, იმავე „მოქცევაში“ ჯვართა აღმართებასთან დაკავშირებით საგანგებოდაა აღნიშნული მათი საყოველთაო ძალმოსილება, რომ ისინი აღმართნეს *„საკოდ ყოველთა ქრისტიანეთა“* (შატბერდის კრებული, გვ. 349.2).

მცხეთის ჯვარი ქართველ ქრისტიანთა მიერ ყოველთვის განიჭვრიტებოდა მსოფლიო სიწმინდედ, *მთელი სოფლის* ანუ ქვეყნიერების მცველად, მეოხედ, საკოდ, მფარველად. ასეთია, საზოგადოდ ქრისტიანული ტრადიცია. ამა თუ იმ ადგილას გამოვლენილი *საუფლო სიწმინდე* იმ კონკრეტული ადგილის დიდებაა. სახელგანთქმულებაა. მაგრამ ამავე დროს მთელი ქვეყნიერების მეოხია, მფარველია, მცველია. იგივე ითქმის წმინდანებზეც. ამ მხრივ, ფაქტობრივი ასპექტით, საყურადღებოა „პეტრე იბერის ცხოვრების“ ანდერძი, სადაც ვკითხულობთ:

„მეოხ-ვყოფდეთ... ნეტარსა ამას და წმიდასა მღდელთ-მოძღვარსა პეტრეს, სამკაულსა და სიქადულსა ქართველთასა და *მეოხსა ყოელისა სოფლისასა*“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ. 1967, 263. 18).

შესაბამისად, ჩვენი აზრით, დაზიანებულ ადგილას უნდა გვქონოდა სიტყვა *„სოფლისა“*, რაც, ჩვეულებრივ, ასე ქარაგმდება *„სოფლისა“*. ამრიგად, წარწერას ასეთი სახე უნდა ჰქონოდა:

„[ესე ჯუარი ქრისტჱსი აღხემართა...]

ყოელისა სოფლისა მცველადჲ“.

როგორც აღნიშნეთ, მცხეთის ჯვარი მსოფლიო სიწმინდედ მიიჩნევა და უიგივდება მცხოვრის ჯვარს. უფრო ზუსტად, მცხეთის ჯვარი ნიშია, გამოვლენაა იმავე საუფლო ჯვრისა, რაც გოლგოთაზე აღიმართა და რაზეც მაცხოვარი ეკვა ჯვარს. იგივე ნიშ ჯვრისა, როგორც ცნობილია, გამოუჩნდა კონსტანტინე დიდს. აგრეთვე იერუსალიმში სასწაულებრივ გამოვლინდა 351 წ-ს. ამიტომაა, რომ ქართლში გამოჩინებული ჯვრის დღესასწაულზე (დადებული იყო სულიწმინდის მოფენის შემდეგ პირველ ოთხშაბათს) იკითხებოდა საზოგადო საგალობლები ჯვრის გამოჩენებისა (შდრ. „შემდგომად მარტუილიასა ოთხშაფათსა ქართლს ჯუარისაი მაისსა ზ ჰპოვნე“, იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, I თბ. 1979, გვ. 23).

უნდა აღინიშნოს, რომ საუფლო სიწმინდეთა შესახებ მითითებანი (იქნება ეს წარწერა, საგალობელი, ქადაგება, თხრობა თუ სხვა), ჩვეულებრივ, დამკვიდრებულ ტრადიციას მიჰყვება და ორიგინალური ტექსტობრივი ფორმულირებანი მოულოდნელია. ჯვართან დაკავშირებით ამ მხრივ საესებით გარკვეულ ეითარებასთან გვაქვს საქმე, რადგან ეს სიწმინდე მთელი მსოფლიოს, *„ყოველი სოფლის“* წინაშე გაცხადდა და შესაბამისად შესიტყვება *„ყოველი სოფელი“* განუყრელია ჯვართმეტყველებითი ტრადიციისგან. აი, რამდენიმე ნიმუში:

„[ჯვარმა] ტარიგი ღმრთისაი დაკლული იტერთა, ზოგად ყოელისა *სოფლისა ცხოერებაი* ქმნა“ (ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, 203. 25); — *ყოელსა სოფელსა* განფენად ქადაგებაი მისი“ (იქვე. გვ. 204. 26); „ჯუარი... ამაღლდების და *ყოველსა სოფელსა* უძლეველი საძლეველი ეჩუენების“ (იქვე. გვ. 220. 4); „ჯუარი იქადაგებინ და ეკლესიანი *ყოველსა სოფელსა მოქალაქენ*“ (იქვე. 324. 13).

მსგავსი ადგილები *აურაცხელია* საეკლესიო ძეგლებში.

ვფიქრობთ, ზემორე პარალელებს საგულისხმო დასკვნამდე მიეყვანართ.

ბოლოს, ყურადღებას მივაქცევთ ერთ მეტად მნიშვნელოვან მომენტს:

ზემორე წარწერა ეხმიანება ჯვრის აღმართებას მცხეთაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯვარი *„ყოველ სოფელს“ ანუ მთელ ქვეყნიერებას უკავშირდება თავისი აღმართვის ადგილითაც.*

როგორც ცნობილია, საუფლო ჯვარი აღიმართა გოლგოთაზე, ხოლო გოლგოთა, საეკლესიო სწავლებით, ქვეყნიერების ანუ „ყოველი სოფლის“ შუა ადგილს წარმოადგენს. შესაბამისად, გოლგოთაზე აღმართული ჯვარი *„ყოველ სოფელს“* წვდება და გარემოიცავს. წმ.ანდრია კრეტელი გვასწავლის:

„რამეთუ შორის ქუეყანისა და *საშუალსა ადგილსა ყოელისა სოფლისასა* არს ადგილი თხემისაი (ე.ი. გოლგოთა, ეჭ.), ნუმცა ეინ არს იჭუნეულ; რამეთუ ჯერ-იყო, ეითარცა ველისა დიდისაი, *გარეშეზომაი ყოელისა სოფლისაი და მართლ საშოალსა ქუეყანისასა აღმართებაი ცხოველსმყოფელისა ძელისა*, რაითა ეითარცა სხუაი მზე სიმართლისაი, ზეცით აღმობრწყინვებული, შეამკობდეს *საშოალსა ცისასა და შორის ყოელისა სოფლისა დანერგული* და სამყაროდ ქუეყანისა განრთხმული *ძელი ჯუარისაი*, რომელი-იგი ნათლისსახითა მცხინვარებითა შარავანდედთაითა მისწუთების კიდეთა ქუეყანისათა“ (ძველი მეტაფრასული კრებულები, გვ. 320).

მოტანილი სწავლება ჩვენთვის ამჯერად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ყურადღებას მიგვაქცევინებს მცხეთის ჯვრის აღმართვის ადგილზე. კარგა ხანია გარკვეულია, რომ მცხეთა თავისი ტოპონიმიკით წარმოადგენდა მეორე იერუსალიმს, ანუ, როგორც კ.კეკელიძე აღნიშნავს, „ქართულ იერუსალიმს“ (ეტიუდები, IV, გვ. 362).

მცხეთის იერუსალიმურ ტოპონიმიკაში ჩვენ ეხვდებით გოლგოთასაც, რაც ეწოდებოდა *სწორედ იმ მთას*, სადაც მცხეთის ჯვარი აღიმართა. ამ ნიშნით, *მცხეთის ჯვარი სულიერად იგივე გოლგოთის ჯვარია*. მოვუსმინოთ კ.კეკელიძეს:

„ეს მთა, რომლის ფერდობზეც მდებარეობდა გეთსიმანია, ატარებდა გოლგოთის სახელს. ამ მთის წვერზე მეფე მირიანმა აღმართა ერთი იმ სამ ჯვართაგან, რომლებიც გაკეთდა მოჭრილი, მკურნალი ხისგან... ზუსტად იმ ადგილას, სადაც აღიმართა ჯვარი, დღეს დგას ეკლესია“ (იქვე. გვ. 362-363).

კ.კეკელიძის უადრესად ზუსტი დაკვირვებით, მცხეთის გოლგოთას მთაზე ჯვრის აღმართვა შინაარსობრივად უიგივდება იერუსალიმის გოლგოთაზე ჯვრის პოვნას და აღმართვას. აგრეთვე, ჯვრის გამოჩენებას იმავე იერუსალიმში წმკირილეს პატრიარქობის ჟამს (იქვე).

ამრიგად, *მცხეთის გოლგოთის ჯვარი სულიერად არის იგივე იერუსალიმის გოლგოთის ჯვარი, აღმართული ქვეყნიერების შუაგულში, მცველად ყოელისა სოფლისა.*

ედიშერ ჭელიძე

არქიმანდრიტი რაფაელი

„იესოვას მოწმეების“ სექტის შესახებ

შეკითხვა: იესოველები ამბობენ, რომ ყველა კი არ აღდგება, არამედ მხოლოდ ნაწილი, ანუ იესოველები და მათი თანამგრძნობნი, ანდა ისინი, ვისაც არაფერი სმენია იესოველების სწავლებაზე. მაგრამ ზნეობრივად მომზადებულია მისთვის.

პასუხი: იესოველები ასწავლიან, რომ გოლგოთის მსხვერპლმა მხოლოდ ადამის ცოდვა გამოისყიდა და არა ადამიანების პირადი ცოდვები. სწორედ ამის გამო უცნაური იქნებოდა, რომ იესოველები და მათთან ერთად აღმდგარი ადამიანები სისუსტეების, ნაკლოვანებებისა და ვნებებისგან თავისუფალ და შეცდომებისაგან დაზღვეულ ადამიანებად ჩაგვეთვალა. მატერიალური კეთილდღეობა და საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დიდი შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არის ცოდვისა და ბოროტების პარასებობის გარანტია. ამერიკელებმა ყველაფერი იღონეს, რათა ჰავაის კუნძულები მიწიერ სამოთხედ ექციათ. მაგრამ მატერიალური სიუხვისა და ბუნების ზღაპრული სიმშვენიერის მიუხედავად, იქაც ხდება სასტიკი დანაშაულობები. ქრისტიანობა ასწავლის, რომ აღდგომა არის არა განმეორება პიროვნებისა, არამედ ფერისცვალება და განსულიერება, როდესაც კაცის სხეული ახალ სულიერ თვისებებს იძენს. პაველე მოციქული წერს: „საზრდელი მუცლისთვის და მუცელი საზრდელისთვის, ხოლო ღმერთმან იგიცა და ესეცა განაქარვოს“ (1 კორ. 6, 13), ანუ საკუთარი ცხოვრება იქნება არსებობის ახალი პირობები, ხოლო მკვდრეთით აღმდგარ სხეულებს ახალი თვისებები და შესაძლებლობები მიენიჭებათ, ისეთი, როგორიც სულს შეეფერება. „იესოვას მოწმეებისათვის“ კი აღდგომა სტომაქის აღდგინებას ნიშნავს.

შეკითხვა: როგორც ვნახეთ, იესოველების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა სწავლება მართალთა ათასწლოვანი მეუფებისა და საუკუნო ცხოვრების, როგორც მიწიერი, მატერიალური ცხოვრების გაგრძელების შესახებ ყველა მისი ფუნქციონალური ფორმით. მოეძებნება თუ არა ამ სწავლებას ანალოგია რაიმე სხვა რელიგიურ თუ ფილოსოფიურ სისტემებში?

პასუხი: ასეთივე შეხედულებებს ეხვდებით შვედი მისტიკოსის, სვედენბორგის თხზულებებში, რომელმაც აღწერა თავისი ხილვები მიღმური სამყაროს სფეროდან. იესოველებთან ახლოს დგას ამ საკითხში რუსი ფილოსოფოსი ფეოდოროვიც, რომელიც თავის წიგნში „საერთო საქმე“ გამოთქვამდა აზრს, რომ სხეულთა აღდგომა უკვე-მოლეკულურ დონეზე მოხდება და საუკუნო ცხოვრება იქნება ყველა ოდესმე მცხოვრები ადამიანის არსებობა დედამიწასა და სხვა პლანეტებზე. იესოველთა სწავლებისაგან ფეოდოროვი იმით განსხვავდება, რომ მასთან სიკვდილსა და სხეულებებს მეცნიერება სძლევს, ანუ სანიტარული საქმე ამარცხებს სიკვდილს. იესოველობა ეხათესავება იუდაური ჰილიაზმის წარმოდგენებს მესიის მიწიერ მეუფებაზე, რომლებიც ენოქის, ბარუქისა და სხვა აპოკრიფულ წიგნებშია გადმოცემული. უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ მარქსიზმი იუდაური ჰილიაზმის გავლენით შეიქმნა და მისი რამდენადმე რეფორმირებული სოციალური ეარიანტია. მუშათა კლასი განასახიერებს მესიას, ბურჟუაზია – ბნელ, სატანურ ძალებს, ხოლო სიუხვისა და ბედნიერების სამეფოს – კომუნიზმი.

შეკითხვა: მოეძებნება თუ არა პარალელი იესოველთა სწავლებას მართალთა ათასწლოვანი მეუფების შესახებ?

პასუხი: არც იესოველთა სწავლება ათასწლოვანი მეუფების შესახებ არის ორიგინალური. იგი იმეორებს იუდეველი ჰილიასტების, ასევე „მეშვიდე დღის ადვენტისტების“ ანალოგიურ მოსაზრებებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქრისტიანებს შორისაც იყვნენ ადამიანები, რომლებსაც პირდაპირი მნიშვნელობით, კალენდარულ განზომილებებში ესმოდათ გამოთქმა „ათასი წელი“. ეკლესია შემწყნარებლურად უყურებდა მათ და არჩევდა, ასეთი წარმოდგენა მწვალებლობად კი არა, კერძო აზრად – წინასწარმეტყველების ვულგარიზაციად მიიჩნია.

შეკითხვა: როგორ განმარტავს მართლმადიდებლური ეკლესია წმ.წერილის იმ ადგილებს, რომლთაც იესოველები თავიანთ სასარგებლოდ მოიხმობენ?

პასუხი: წმ. წერილის ენა სიმბოლოებისა და საიდუმლოებების ენაა. გამოთქმები – „ათასი წელი“ (ფსალ. 89,5. პეტრ. 3,8) და „ათასამდე ნათესავად“ (2 სჯ. 7,9) ნიშნავს გარკვეული ციკლის დასრულებას, რომელიც ასტრონომიული რეკით კი არა, მოვლენებით იზომება. ათასი წელი არის პერიოდი ქრისტეს შობიდან მის მეორედ მოსვლამდე. ქრისტეს მეუფება კი ნიშნავს მის მეუფებას ეკლესიასა და მორწმუნეთა გულებში. გარდა ამისა, 10 საესებისა და სიხარულის სიმბოლოა, 1000 – მარადიულობისა. პავლე მოციქული წერს: „რამეთუ იყვენით მას ჟამსა შინა თვინიერად ქრისტესა, უცხო-ქმნილნი მოქალაქეობისა მისგან ისრაელისა და უცხო სჯულთა მათგან აღთქმათაისა, სასოებაი არა გაქუნდა, და უღმრთო იყვენით სოფელსა შინა. ხოლო აწ ქრისტე იესოს მიერ თქუენ, რომელი-ესე ოდესმე იყვენით შორს, იქმნენით მახლობელ სისხლითა ქრისტესითა“ (ეფეს. 2.12-13). ხოლო რაც შეეხება გამოთქმას „სატანის შეკრა“, წმპეტრე და იუდა მოციქულები წერენ: „ღმერთმან ანგელოზთა მათ შეცოდებულთა არა პრიდა, არამედ ჯაჭვებითა მით წყუდიადისაითა ტარტაროზსა შეაყენნა და მისცნა იგინი სატანჯველად და სასჯელად დამარხვად“ (2 პეტრ. 2,4; იუდ.1,6). სატანის შეკრა ნიშნავს მისი ხელმწიფების გაქარწყლებას ანდა შეზღუდვას, ხოლო სატანის გათავისუფლება მსოფლიო ისტორიის ბოლოს – ბოროტების მომძლავრებას უზარმაზარ მასშტაბებში და ანტიქრისტეს გამეფებას სანტიქრისტე იქნება ადამიანი, რომელიც თავისი ნებით მიიღებს სატანურ სულს).

ავტონომია ნონსენსია

მეშვიდე გვერდიდან

თიანი სულის აღდგენისა და გამთლიანების ფაქტორი).

როცა წინდახედულობაზე ელაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს რელიგიური ფაქტორი აჭარაში და ავტონომიური მექანიზმის 75 წლიანი ტრადიცია. აჭარის მომავალი სტატუსის განსაზღვრისას ეს ფაქტორები აუცილებლად გასათვალისწინებელია, მაგრამ სხვა მხრივ აჭარის უზენაესი საბჭოს ახლებური ამოქმედება (რის ნიშნებიც ჩანს), რაც გულისხმობს საქართველოს პარლამენტისაგან დამოუკიდებლად მთელი რიგი კანონების მიღებას, მით უმეტეს, აჭარის რესპულიკად გადაქცევა პრეზიდენტის ინსტიტუტით, დამღუპველი იქნება საქართველოსათვის.

ვინ უნდა განახორციელოს ყველაფერი ეს, რაც ითქვა? ქვეყნად არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ხელისუფლება ამას ვერ გააკეთებს და თუკი გადადგამს ამ ნაბიჯს, მაშინ შეიძლება ამას გართულებებიც მოყვეს.

მაშ ვინ? ეფიქრობთ, დღეს აჭარის ხელისუფლებას და კერძოდ აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს ისტორიული შანსი აქვს გადადგას ნაბიჯი ქვეყნის გამთლიანების, განმტკიცების თვალსაზრისით. კერძოდ, ბატონ ასლან აბაშიძეს შეუძლია ადგილობრივი სპეციფიკური მომენტების გათვალისწინებით მოამზადოს საფუძველი რეგიონის მმართველობის ახალი ფორმისათვის, ყოველგვარი ავტონომიურობის, რესპუბლიკისა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გარეშე. ამაში მას წინაალმდეგობას ვედარ გაუწევს მის მიერ დაკომპლექტებული აჭარის უზენაესი საბჭო. ამით კი აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იხსნის ქვეყანას მოსალოდნელ გართულებებისაგან.

ასე რომ, აჭარის ავტონომია დღეს, საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულში ნონსენსია და მისგან განთავისუფლება ყველას, პრაქტიკულად კი ჩვენი ინტელიგენციისა და აჭარის დღევანდელი ხელისუფლების წმიდათაწმიდა ვალია.

მიხეილ მახარაძე



კაიფვორდი



თარაზულად: 5. ბულბულის „სიმღერა“; 8. „შუაში“ მოსიარულე პიროვნება; 9. ის, რაზეც ადიან, რაზეც ჩამოდიან და რაზეც კისრებსაც იმტვრევენ; 11. „სონის“ ფირმის საცვალი; 12. ჭიაბერის „მზიანი“ მამა; 13. პირის „ჭერი“; 16. დიდი გარმონი „მორფინისტებისთვის“ (რუს.კავშ.); 17. „სიმას“ დებულება; 18. სუსტ „ქუსლიანი“ კაცი; 19. „კალამი“ დაფისთვის; 21. „შუაში“ მდგომი „ლედი“; 22. „სტრიპტიზის“ მოცეკვავე გოგონა მამის დუქანში (ფილმ.კავშ.); 24. „გაბუტული“ ბატი; 27. ველური ცხვარი, რომელიც „ხარი“ არ არის; 29. „ჰახმელიაზე“ მყოფი დროსტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 30. „ჯუჯა“ მსხალი; 32. „ტაქტიანი“ შესვენება სათეატრო წარმოდგენისას; 33. „თოთო ბავშვი“; 34. „ბანზე“ დასაფარებელი; 35. „უმცროს ლეიტენანტზე“ შეყვარებული ქალი.

შვეულად: 1. ქალი, რომელიც „კრიშაზე“ მჯდომ „სკრიპაჩებს“ უმღერის; 2. ჭიდაობაში გამოსაყენებელი „სარი“; 3. ლოყებზე დატოვებული „ბარდი“; 4. ლამის „ტრუსიკი“; 6. რუკების კრებული, რომლითაც კაბებსაც იკერავენ; 7. ბანკის „კირიანი“ პატრონი; 10. ორჯერ „სექსუალური“; 13. „ხელი“, რომელიც ყველას აქვს; 14. „მაშების“ მამა; 15. მამლის „ბიბლიური“ ნაწილი; 18. „ცენტზე“ გაყიდული თაეისებური წარმოთქმა; 20. „ციკლურად“ მოძრავი გრიგალი; 23. „ვანელების“ ქალაქი სომხეთში; 25. „მანი“ ქაშა ნაჭამი ბანდის მეთაური; 26. „სწრაფი“ სასაუზმე (რუს.კავშ.); 27. „ფასიანი“ პირისახე წინიდან; 28. „ხობელი“ ფრინველი; 30. ის, ვის მოსვლამდეც პაელეს ტყავი გააძვრეს; 31. „ფინეგარაში ჩასასმელი“ ქალი.

აკაკი ცოტაძე

კროსვორდი

თარაზულად: 4. სოფელი ახმეტის რაიონში; 5. ქართველი ჩოგბურთელი; 10. „ქალბატონის“ შესატყვისი სკანდინავიის ქვეყნებში; 13. ერთად აკინძული ნახაზების კრებული; 14. ნაზი გრძნობის, სიყვარულის გამოხატვა; 15. საცირკო სანახაობა; 16. ჯოჯოხეთის შუქურა; 18. ღონიერი; 19. ქვეყანა დასავლეთ აზიაში; 20. რომელიმე ხატის, სალოცავის მლოცველი ფშავ-ხევსურეთში; 23. მემამულის მოურავი ან მამასახლისი ძველ რუსეთში; 25. მინა, რომელიც შედგება გამჭვირვალე პლასტმასით დაწებებული ორი ფენისაგან; 30. ზღვის პატარა ყურე, გემების დასადგომად გამოსადეგი; 33. ღვინის შესანახი ადგილი; 34. კურორტი საქართველოში; 35. ბრაზილიური ლიტერატურის კლასიკოსის გიმარაინსის პოპულარული რომანი; 36. კირის შემცველი ნალექი ქანი; 37. სახელმწიფო ევროპაში; 39. ძალოსნობის მიმდევარი სპორტსმენი; 40. პერსონაჟი სერჯიო ლეონეს ფილმისა „ერთხელ ამერიკაში“; 43. „ცისფერყანწელთა“ ცნობილი რესტორანი; 44. ჰაერის ბურთულა.

შვეულად: 1. გემის გვერდის კედელი; 2. ადგილი ძველ საბერძნეთსა და რომში, საიდანაც ფილოსოფოსები და რიტორები სიტყვას წარმოთქვამდნენ; 3. ქვეყანა აღმოსავლეთ აზიაში; 6. შალის ქსოვილი; 7. საარტილერიო იარაღი; 8. ქართველი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე; 9. ვინც ვისიმე მადლს არ აფასებს; 11. ორგანიზმის მგრძნობიარობის შეცვლა მიკრობების ან უცხო ცილების განმეორებითი ზემოქმედების მიმართ; 12. სოფელი ახალციხის რაიონში; 17. გოგოს დამამცირებლად მოხსენიება საუბარში; 21. ერთი პირვანდელი გვარისაგან წარმოშობილი რამდენიმე გვარის გაერთიანება ტომის ფარგლებში პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში; 22. კუჭი, მუცელი; 24. დაბალი წრეების წარმომადგენელი ძველ რომში; 26. პერსონაჟი ლ.გოთუას მოთხრობისა „უგზო ქარავანი“; 27. ყველაზე დიდი ფრინველი, რომელიც არ დაფრინავს; 28. მცენარე, რომელიც ხარობს, როგორც წყალში, ისე ხმელეთზე; 29. უწესრიგობა, ქაოსი; 31. მუსლიმანური ფეოდალური სამართლის რელიგიურ და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა; 32. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული სასუქი; 38. პორტუგალიის პოლიტიკური მოღვაწე; 41. მიკროსკოპული ცხოველი; 42. ელენე ყიფშიძის სცენური სახე სპექტაკლში „ეზოში ავი ძაღლია“.

გიორგი გასიტაშვილი

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444